

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის  
ნისტიტუტი

PAPER OF CAUCASIAN  
INSTITUTE OF HISTORY  
AND ETHNOLOGY  
OF THE SOVIET UNION  
1918-1921  
THE INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY OF THE SOVIET UNION  
IS A STATE INSTITUTE OF SCIENCE WHICH STUDIES THE HISTORY OF  
THE COUNTRIES OF THE CAUCASUS AND THE HISTORICAL AND  
CULTURAL DEVELOPMENT OF THE POPULATIONS OF THESE COUNTRIES.  
IT IS LOCATED IN Tbilisi, Georgia. THE INSTITUTE HAS A LIBRARY  
WITH A COLLECTION OF OVER 100,000 VOLUMES. IT ALSO HAS A MUSEUM  
DISPLAYING ARCHAEOLOGICAL FINDS FROM THE REGION. THE INSTITUTE  
IS PART OF THE NATIONAL SCIENCE ACADEMY OF GEORGIA. IT IS  
A LEADING CENTER FOR RESEARCH ON THE HISTORY AND CULTURE  
OF THE CAUCASIAN PEOPLES.

## კავკასიის ეთნოლოგიური კრებული XII

53229

111-1666

ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ნისტიტუტის  
ბიბლიოთეკი



გამომცემლობა „ენივარსალი“  
თბილისი 2010



ნიტარული ფაკულტეტის სტუდენტმა ხათუნა ჭინჭარაულმა. მის მიერ შემჩნეული შენიშვნები შეძლებისდაგვარად ჩასწორდა.

კრებულში ორი რეცენზია დაბეჭდილი და ორივე მათგანი ლიგანის ხეობის შესახებ დაწერილ წიგნებს შეეხება. ერთს ავტორია რ. მაღაყმაძე და მეორისა — ე. ბერიძე. რეცენზიის ავტორები კი არიან რ. თოფჩიშვილი და რ. გუჯევიანი.

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ივანე ჯავახიშვილის ისტორიას და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებამ ბოლო სამი წლის განმავლობში სამი კრებული მოამზადა გამოსაცემად. ვფიქრობთ, ეს გარკვეული პასუხია იმ აღიარებული მეცნიერების მიმართ, რომლებიც მეცნიერებათა აკადემიის ტრიბუნიდან აცხადებენ, რომ თითქოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ეთნოლოგიური კვლევა-ძიება აღარ მიმდინარეობს.

## სალომე ბახია-ოქრუაშვილი

### სოციალური ურთიერთობის საკითხები ოსებში

ოსების ეთნიკური გაერთიანების ჩამოყალიბებას წინ რთული ისტორიული პროცესი უძლიდა. ჩრდილო კავკასიაში, ყუბანის ველზე მცხოვრებ ოსთა წინაპარი ალანების ცხოვრებაში თათარ-მონღოლების შემოსვებმა უარყოფითი როლი შეასრულა. მონღოლებმა ალან-ოსების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირეს, მეურნეობის სხვადასხვა დარგი მოშალეს; დაანგრიეს ქალაქები და სოფლები; გადარჩენილი ალანების ნანილმა ცენტრალური კავკასიის მთიანეთს შეაფარა თავი. ისინი ჯერ მონღოლებისა და შემდეგ ყაბარდოელების მიერ, გარე სამყაროსგან სრულიად შეკეტილი და იზოლირებული აღმოჩნდნენ (ოსი ხალხის... 1967; ... 1988; თოფჩიშვილი 1997). მთში ჩასახლებული ადგილობრივ კავკასიელებს შეერწყა და ფაქტიურად იზოლაციის პირობებში, თანამედროვე ოსების ახალი ეთნიკური სახე ჩამოყალიბდა (თოფჩიშვილი 2006: 36; თოფჩიშვილი 2008: 51-52).

თანამედროვე ოსების სოციალური ურთიერთობები ოსური საზოგადოებრივი და ნათესაური ინსტიტუტების – სასოფლო თემის, საგვარეულო გაერთიანების, პატრონიზმული ორგანიზაციის, საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმის, დიდი ოჯახის არსებობისა და ტრადიციული თვითმყოფადი წეს-ჩვეულებების ფონზე ვითარდებოდა. ტრადიცია და წეს-ჩვეულება ხანგრძლივი დროის განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ეთნიკურ თავისებურ ელემენტებსა და მასთან დაკავშირებულ სოციალურ ურთიერთობებს აყალიბებდა, რომლებიც თავისთავად სტერეოტიპული, ასევე ეთნიკურ ფორმების მქონე ქცევის მოდელების შექმნასაც უწყობდა ხელს. ურთიერთობათა ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი სწორებ ნათესაური გაერთიანებების მცირე და ფართო ჯგუფებს ეკისრებოდა, რადგან ისინი საკუთარ ნარმოშობას საერთო წინაპარს უკავშირებდნენ. ნათესაობის შიგნით ურთიერთობას თავდაპირებად ეკზოგამია ანესრიგებდა. მისი დაცვა აუცილებელი პირობა იყო, რომელიც ნათესაურ კავშირს კიდევ უფრო ამყარებდა. მამაკაცს მოჰყავდა ცოლად ქალი, რომელიც არც მამის და არც დედის ხაზის ნათესაურ მხარესთან არ იყო კავშირში. საგვარეულოს გენეალოგიური ხაზი პატრილინული იყო, მას თები იცავდნენ და პატივისცემით ეკიდებოდნენ. გენეალოგიური სტრუქტურა როგორც პირდაპირ, ისე გვერდით ხაზის ნათესაობითაც იქმნებოდა, რომელთა შორის უფლება-მოვალეობები ნათესავებს შორის სიახლო-

ვე-სიშორის მიხედვით რეგულირდებოდა. ცხადია, თვით გენეალოგიდან გამომდინარე, ნათესაური სტრუქტურა სოციალურ ორგანიზაციას (მცირე და ფართო გაერთიანებას) ემსახურებოდა. ნათესაურ გაერთიანებაში ქორწილის, ბავშვის დაბადების, ადამიანის გარდაცვალების, ურთიერთდახმარების და სხვა წეს-ჩვეულებებში ყველა წევრის ქცევისა და ფუნქციის სოციალური ხასიათი გარკვეული და დადგენილი იყო. ამავე დროს, ურთიერთობის დროს, საზოგადოებივ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში თავს იჩენდა მმართველობისა და დაქვემდებარების სპეციფიკური სისტემა. ამგვარ მოწესრიგებული ურთიერთობის გარეშე სოციალური ინსტიტუტები, რომელსაც ნათესაური პრინციპი ედო საფუძვლად, შეწყვეტდა არსებობას.

ოსების ნათესაურ სისტემაში ნათესაურ ტერმინთა და ნათესაურ სოციალურ ორგანიზმებს შორის კავშირი 6. ჯავახაძემ გამოავლინა. მის მიერ დადგენილი კანონზომიერებები, ბავშვის დაბადებას, აღზრდას, საქორწინო რიტუალებს, დასაფლავებას, სულის მოსახსენებელ და სხვა წესებს შეეხო; სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებული ნორმები სისხლით, მოყვრობით და ხელოვნურად დანათესავებულთა შორისაც წარმოაჩინა. ნათესაური სისტემის შესწავლისადმი ასეთი მიდგომა სოციონორმატიული კულტურით იყო განპირობებული. 6. ჯავახაძემ ქცევის სოციალურ-სანქციონირებული ნორმებისადმი მიდგომის ორი სხვადასხვა დამიკადებულება განიხილა: პირველი – ნათესაურ, სოციალურ ორგანიზაციაში, სადაც თვით ნათესაური სისტემა განსაზღვრავს ქცევის ნორმებს ერთმანეთან და სხვებთანაც მიმართებაში და მეორე – საზოგადოების წიაღში ჩამოყალიბებული ქცევის ნორმები, რომელიც მოცემული ორგანიზმის სოციალური სტრუქტურის თავისებურებებით არის განსაზღვრული (ჯავახაძე 1989: 71-106).

ამჟამად, სოციალურ ურთიერთობათა ამ ორი სხვადასხვა დამოკიდებულებიდან, მხოლოდ საცხოვრებელ კომპლექსში მცხოვრები ახლო ნათესაური სოციალური ერთეულის – ოჯახის და მათი წევრების თავისებური ურთიერთდამოკიდებულებისა და თვით საცხოვრებელი ფართის დანაწევრების პრინციპზე და მის სოციალურ ფუნქციაზე იქნება საუბარი.

ოსურ საცხოვრებელ კომპლექსში კარგად ჩნდება კულტურისა და ყოფის მნიშვნელოვანი და ეთნოსპეციფიკური ელემენტები. ამ ეთნოსპეციფიკურ ფორმაში გარეგან მოვანილობასთან ერთად შინაგანი მოწყობილობაც იგულისხმება. რაც თავისთავად, საჯახო ყოფის თავისებურების, ოჯახის ფორმის, მისი განვითარებისა და კულტურული დონის, ნათესაური შემადგენლობის, თაობათა რიცხოვნობის, მათ შორის, საცხოვრებელი ფართის განაწილების დადგენაში იჩენდა თავს. საცხოვრებელი სოციალურ-ეკონომიკურ

განვითარებასთან ერთად მეურნეობის ხასიათსა და პრიორიტეტ-საც განსაზღვრავდა. ამასთან ერთად, ოჯახის ყოფასა და საცხოვრებლის სივრცეში სალოცავის ადგილზე და მის მნიშვნელობაზე მიუთითებდა.

თანამედროვე მთიელი ოსების საცხოვრებელი კომპლექსის ძირითად კომპონენტს საცხოვრებელი კოშკი – გვია წარმოადგენდა, რომელიც ხშირად თავდაცვით კოშკზე – მასაც (ციხე-სახლი) იყო მიშენებული. ფიქრობენ რომ იგი საცხოვრებლის შედარებით უფრო ადრეული ფორმა უნდა ყოფილიყო ამ რეგიონში (რობაქიძე, გეგეჭკორი 1975: 41), რადგან ამ ტიპის საცხოვრებელი კავკასიის რეგიონში ძეველ ფორმად არის აღიარებული (სემიონოვი 1928: 15). ასეთ ნაგებობას კვადრატული ფორმა ჰქონდა და სამ სართულიანი იყო. მას ერთი საერთო შესასვლელი პირველი სართულიდან ჰქონდა, ხოლო სართულებს შორის კავშირი მხოლოდ შიგნიდან, მისადგმელი კიბის საშუალებით ხდებოდა. პირველ სართულზე ოჯახის გამოსაკვები მარცვლებულის მთელი ზამთრის მარაგი ინახებოდა. თუმცა, იგი გათვალისწინებული იყო მსხვილებება და სხვა საქონლის სადგომად. მეორე სართული საცხოვრებელი იყო, ხოლო მესამე სართული თავდაცვას ემსახურებოდა და სასტუმროდაც გამოიყენებოდა. სინათლე ნაგებობაში მხოლოდ ზემო სართულის სათოფურებიდან აღწევდა (კალოევი 1967: 130-142). ნაგებობები როგორც მშრალი წყობით, ისე დუღაბით შენდებოდა. დიგორში გავრცელებული ტერმინი ჩახარი, რომელსაც თვით საცხოვრებელი კომპლექსს სახელნოდებას წარმოადგენდა, შესაძლებელია ქართული ტერმინიდან კირი, ქვითკირი ყოფილიყო წარმოქმნილი (რობაქიძე, გეგეჭკორი 1975: 41), ე. ი. ციხე-სახლი შედგებოდა საცხოვრებლის, სამეურნეო ნაგებობების და თავდაცვითი კოშკისაგან, რომელსაც შემოვლებული ჰქონდა ქვის გალავანი. გალავნისათვის ჩრდილო კავკასიელ ოსებში ორი ტერმინია ფიქსირებული: ფიბართულ (სობიევის მიერ) და გალაზ, რომელიც მეცნიერთა აზრით ქართული გალავნიდან უნდა ამოდიოდეს (რობაქიძე, გეგეჭკორი 1975: 72). ეს გალავნიანი კომპლექსები უმეტესად იმ ხეობაშია ფიქსირებული, რომელმაც ფეოდალური ურთიერთობები იგულისხმებოდა. მსგავსი გალავნიანი ციხე-სახლის წარმოქმნას შუა საუკუნეების პერიოდთან აკავშირებენ და მიიჩნევენ, რომ საცხოვრებელმა კოშკი მაშინ ყველაზე ფართოდ გავრცელდა. სამუხარიდ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამ მოსაზრების სანინა-აღმდევონ მონაცემების არსებობის გამო, ამ ციხე-სახლებს უფრო ადრეულ ხანას მიაკუთვნებენ და ადასტურებენ, რომ ადგილობრივი კავკასიელი მთიელების ყოფაში ისნი ფეოდალურ ხანამდე, ოსების (ცენტრალურ კავკასიაში გამოჩენამდე უკვე დამკვიდრებული უნდა ყოფილიყონენ. ოსური საცხოვრებლის ამოსავლად ერთო-

თახიანი ქვის ნაგებობას მიიჩნევენ, რომელსაც ისინი „ხაძარს“ უწოდებდნენ (კალოევი 1967: 130-142).

სხვა ხეობების მთიელების შეჯგუფული დასახლების ფონზე ქვის საცხოვრებლებისათვის დამახასიათებელი იყო გვერდივერდ და ამავე დროს ერთმანეთზე „დაკიდული“ ტიპის ნაგებობები. ბრტყელი, ოდნავ დაქანებული ქვედა ნაგებობის გადახურვა ზემო ნაგებობისათვის სამეურნეო ეზოს ნარმოადგვენდა, რომელსაც მარცვლის საცხევად, გასაშრობად, მაღის დასაპენტად და ა. შ. გა-მოიყენებოდა. ნაგებობებს შორის მხოლოდ ვიწრო გასასვლელები იყო, რომელიც ხშირად ჩიხით მთავრდებოდა. ხეობებში, სადაც ტყის მასივები იყო გავრცელებული ლასტის კედლებიან საცხოვ-რებლებსაც დგამდნენ. ამ სახლს ოსებისაგან მივიწყებულ ტრადი-ციულ-მომთაბარე მესაქონლების საცხოვრებელს „music on the –“ უკავშირებენ, რომელიც ოსებისათვის ფოლკლორიდან, ნართული ეპოსიდან და პრაქტიკული საქმიანობიდანაც ყოფილა ცნობილი. მსგავსი მომთაბრული ტიპის სახლები დაფიქსირებული იყო დი-გორში და თაგურში (მაგომეტოვი 1968: 245-270).

როგორც ცნობილია, თავდაპირველად გარკვეულ ხეობაში, სა-დაც გავრცელებული იყო ციხე-სახლები სამეურნეო სათავსოები და საქონლის სადგომი საცხოვრებლიდან გამოყოფილი არ ყოფი-ლა. მთა-ოსეთისათვის დამახასიათებელი იყო მისი გამართვა საც-ხოვრებელი კომპლექსის პირველ სართულზე. მხოლოდ ერთსარ-თულიან ქვის საცხოვრებლებში სამეურნეო ნაგებობები საცხოვ-რებელს გარედან ჰქონდა უშუალოდ მიშენებული.

მთის ოსური საცხოვრებლის განხილვისას ტაკორევა, რომლის ეთნოგრაფიული მასალა ქურთათისა და არხონის ხეობებს მოიცავ-და, სამი ტიპის საცხოვრებლის არსებობას აფიქსირებდა, ორსარ-თულიან, იშვიათად ერთსართულიან, მრავალოთახიან საცხოვრე-ბელს, რომელსაც გარედან უშენებდნენ სამეურნეო ნაგებობებს და თავდაცვით კოშკებს. ყველა ეს ნაგებობა გალავნის შიგნით იყო მოქცეული და იგი მთლიან ციხე-სიმაგრეს (გალუამ) ნარმოადგვენ-და. ამ ტიპის საცხოვრებელში ყველაფერი ოჯახისა და მისი ქონე-ბის, საქონლის დასაცავად იყო მომარჯვებული. საცხოვრებლის მეორე ტიპს განეკუთხნებოდა ციხე-სახლი (გრაბ), რომელიც თავ-დაცვითი კოშკის ტიპის ნაგებობას უახლოვდებოდა. პირველ სარ-თულზე საქონლის ბოსელი და მარცვლეულის შესანახი იყო. მეორე სართულზე გამართული იყო „ხაძარი“, რომელიც სამზარეულო და სასაფლო ოთახსაც ნარმოადგვენდა. დანარჩენ ოთახებს დაქორწი-ნებული წყვილები ინარილებდნენ. ოჯახის გაზრდისა და გამრავ-ლების შემთხვევაში საცხოვრებლის კედლებზე ქვის ახალ საცხოვრე-

ბელს აშენებდნენ, რომელსაც შესასვლელი კარი გარედან უკეთ-დებოდა (ტაკორევა 1952: 187-190).

როგორც ცნობილია, დასახლების ფორმა თავისი საცხოვრებ-ლის ფორმებით ისტორიულად ჩამოყალიბებულ ერთ მთლიან ფორმად განიხილებოდა, რომლის თავისებურებას სწორედ საზო-გადოებრივ-ეკონომიკური განვითარების დონე განსაზღვრავდა. ჩრდილო კავკასიის რთული საცხოვრებელი კომპლექსებისა და თავდაცვითი ნაგებობების განვითარების პროცესზე დაკვირვების შედეგად ასკენან, რომ განვითარების ამ პროცესს საფუძვლად ციხე-სახლი უნდა დებოდა. შემდეგ მას მიუშენეს თავდაცვითი კოშკი, ხოლო შემდეგ ყველაფერი გალავნით შემოფარგლეს. შედე-გად რთული ციხე-სიმაგრის ტიპის კომლექსი ჩამოყალიბდა. მას მიაჩნდა, რომ ერთი ან ორსართულიანი სახლი აქ მხოლოდ ქონებ-რივი და სოციალური დანაწილების შედეგად უნდა გაჩენილიყო, რომლის შემდეგ ამ საცხოვრებელი კომპლექსის განვითარება ორი გზით ნარიმართა. პირველი ფეოდალური დიდგვაროვნებისათვის ჩამოყალიბდა ციხე-სახლის ტიპის ნაგებობა, ხოლო მეორე – უბრა-ლო ფორმის საცხოვრებელი იმ მეთემებისათვეს, რომლებიც მა-ღალი წოდებისაც დაქვემდებარებაში ხვდებოდნენ (რობაქიძე 1968: 43-44).

ძელად დასახლების ისეთი სტრუქტურა არის დადასტურებუ-ლი ინგუშების ყოფილ და თანამედროვე ოსების ტერიტორიაზე, რომელიც თავისი ძირითადი ნიშნებით არა გვაროვნული, არამედ ტერიტორიული თემის შესაბამისი იყო. თუმცა, ეთნოლოგებისათ-ვის დაკვირვების ხელმისაწვდომ პერიოდში, თემის ეს ტიპიც ირ-ლეონდა. ის მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელიც ფიქსი-რებული იყო მთიან ხეობებში ტერიტორიული თემის, როგორც სა-ზოგადოების ნამყვანი ძალის მნიშვნელობას გამორიცხავდა (რო-ბაქიძე, გეგეჭკორი 1975: 150).

ამდენად, ტერიტორიულ, სამეურნეო-ეკონომიკურ პრინციპზე ჩამოყალიბებული სოციალური კავშირის შედეგად ჩამოყალიბებუ-ლი სოფლის თემი, ცხადია, სოციალურ თანამშრომლობასაც აყა-ლიბებდა. სოფლის თემის ერთ-ერთი ძირითადი სოციალური ერ-თეული იყო ოჯახი, რომლის ფორმა, შემდგენლობა, სტრუქტურა, მმართველობის პრინციპი, შრომის ორგანიზაციის ხასიათი, სა-კუთრების ფორმები, ცხოვრების წესი ჩვეულებრივ მოქმედი სოცი-ალურ-ეკონომიკური ყოფით პირობებს შეესაბამებოდა. ზემოთ აღ-ნერილ საცხოვრებელ კომპლექსში თავს იყრიდა ოთხი, ხუთი თაო-ბის უახლოესი ნათესავების, მრავალსულიანი სოციალური ერთეუ-ლი, დიდი ოჯახი.

საცხოვრებლებისა და სამეურნეო ნაგებობების კომლექსურმა შესწავლამ მყარი საფუძველი შექმნა იმისათვის რომ დადგენილი-

ყო მეურნეობის დარგების შეფარდებისა და მათი პრიორიტეტის საკითხი. ცენტრალური კავკასიის მთანაწეთში თანამედროვე ოსების საარსებო საშუალებას მესაქონლეობა და მთური მინათმოქმედება წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ოსები სამეურნეო ნაკვეთების სიმცირეს განიცდიდნენ, ისინი ცდილობდნენ ტერასული მინათმოქმედების განვითარების წყალობით მარცვლეულის გარკვეული მარაგი მაინც შემონახათ. ეს სპეციფიკური და მნიშვნელოვანი საკითხი საცხოვრებელი კომპლექსს აღნერილობიდანაც კარგად ჩანს. ყველა ტიპის საცხოვრებელში პირველი სართული და თმობილი ჰქონდა საქონლის სადგომს, რომელშიც ყველა ცხოვრელის სახეობას ადგილი გადატიხრული და გამოყოფილი ჰქონდა. მარცვლეულისათვის კი ადგილი არა ცალკე შენობაში, ან სართულზე, არამედ საქონლის სადგომშივე იყო გამოყოფილი რაც მეურნეობის ამ დარგებიდან მესაქონლეობის წამყვანობას უსვამდა და ხაზს.

საცხოვრებლის სეგმენტაციის პრინციპი ცალკეულ ოთახებად, და ერთიანი არასეგმენტირებული ფართის არსებობა, რომელსაც „ხაძარ“ ენოდებოდა უშუალოდ უჩვენებდა ოჯახის ფორმას. ამავე დროს, როგორც ერთიანი ფართობის, ისე მესამე სართულზე ცალკეული ითახების მოხმარების, მექანიზმი იჯახის წევრების განსახლების, მათი ადგილის გარკვეულ სისტემას ემნიდა და მოქმედების, ქცევის ძირითად წესებაც აყალიბებდა.

ოჯახის ფორმის და საოჯახო ყოფის პრინციპების შესწავლა საშუალებას იძლევა საცხოვრებელ კომპლექსში მცხოვრები ამ ოჯახის წევრების სოციალური ურთიერთობების განვითარებას მიედევნოს თვალი. დიდი ოჯახი თავისი საერთო საოჯახო საკუთრებით, საერთო მოხმარების წესით, შრომის კოლექტიური ორგანიზაციის ფორმებით XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისშიც თითქმის ყველა ავტორის მიერ არის ფიქსირებული, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდისათვის ინდივიდუალური, ცოლ-ქმრისა და მათი შეილების ერთობაზე დამყარებული ოჯახები მრავლად მოიპოვებოდა.

ოსური დიდი ოჯახები გამოიჩინენ მრავალთაობითა და მრავალრიცხოვრობით. იგი წარმოადგენდა ნათესაური კავშირით განმტკიცებულ თაობათა მომცველ ერთეულს, რომლის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ პაპები და ბებიები, მამები და დედები, შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილის შვილები, მამამთლები და დედამთლები, რძალ-მაზლები და მულები, ძმები და ძმათა შვილები, ბიძები და ბიძაშვილები, ძმისნულები და ძმისნულების შვილები და ა. შ. (ითონიშვილი 1969: 195—271). თავისთავად ცხადია, რომ ოჯახის ასეთი ფორმის შიგნით თავისთავად ცხადია, რომ ოჯახის ასეთი ფორმის შიგნით თავისთავად განშაზღვრებათა და ვალდებულებათა განშაზღვრება-

ლი ეკონომიკური და მეურნეობრივი მდგომარეობა იყო. ოსური ოჯახი დიდი ხნის განმავლობაში ნატურალურ მეურნეობას ეწეოდა, ამიტომ „მთიელ ოსებში შინამრენველობის როლი დიდი იყო. ისინი სახლის პირობებში ქსოვდნენ, კერავდნენ ჩასაცმელს, ჩიხა-ახალუხს, ქუდებს, დაოსტატებულნი იყვნენ მოჩუქურთმებული ჭურჭლის კეთებაში“ (Кокиев 1885: 46, 82). ოჯახის წევრებს შორის ნაწილდებოდა ყველა სამეურნეო საქმიანობა და სახლის სამუშაო; გარკვეული მათგანი დაკავებული იყო მონადირეობით, შემგროვებლობით, მეფუტკრეობით; დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გარე საშოგარზე ნასვლას, სადაც ექირავებოდნენ დაბლობის მაცხოვრებლებს გარკვეული პირობებით და ამუშავებდნენ სახნავს, რომლის შემოსავლითაც მთელი წლის საკვებ მარცვლეულს ივსებდნენ. თავისთავად ცხადია, საოჯახო საქმიანობაში ოჯახის ყველა მოზრდილი წევრი იყო ჩართული. სამუშაოს განანილებისა მხედველობაში იყო მიღებული სქესობრივი და ასაკობრივი პრინციპი. დიდი ოჯახის ხნით უფროსი მამაკაცი იჯახში მმართველისა და ხელმძღვანელის ფუნქციას ასრულებდა.

აუცილებლად უნდა გამოიყოს მშობლებისა და შვილების ურთიერთობა, რომელთაგან სამგვარ სოციალურ ურთიერთობას არჩევდნენ: 1. მთავარი ცოლის შვილები, 2. მეორეხარისხოვანი, ნომულუსის შვილები ე. წ. კავდასარდები ანუ ტუმიკები, 3. უკანონი შვილები, რომლებიც იჯახის უფროსს მონისაგან უჩნდებოდა. მათი სოციალური სტატუსი და იურიდიული მდგომარეობა დაბალი იყო. მასზე ცოტა ქვემოთ იქნება საუბარი. ვაჟის დაბადებას, ოჯახში სიხარული მოჰქონდა, ხოლო ქალისას — არა. ამავე დროს, ვაჟი იჯახში, როგორც თები ამბობდნენ, „ძვირად ფასობდა“, რადგანაც მას ირადის გადახდა ესაჭიროებოდა ქალის თხოვნის დროს. ვაჟის სოციალური სტატუსი მაღალი იყო.

რაც უფრო მეტი მამაკაცი იყრიდა თავს დიდ ოჯახში, იგი ეკონომიკურადაც მით უფრო ძლიერი იყო. ისინი თავდაცვის ძალასაც წარმოადგენდნენ. ნათესაური გაერთიანების სოციალურ ურთიერთვალდებულებებშიც მეტი მხარდაჭერი ჰყავდათ.

ხნით უფროსი მამაკაცი, ოჯახის უფროსი, სამუშაოს ვაჟიშვილებს შორის ანანილებდა, განკარგავდა მთელ საოჯახო ქონებას, ოჯახის თითოეული წევრის ბედას და საქციელის გამო პასუხება-მგებლობას კისრულობდა. ამავე დროს, საზოგადოებაში, თემის კრებაზე იგი ოჯახის წარმომადგენლის ფუნქციასაც ითავსებდა. წამყვანი როლი ეკისრებოდა ოჯახის უფროსს სისხლ-მესასხლეობასთან დაკავშირებულ საქმეში, მის დაუკითხავად არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ წყდებოდა ოჯახში, მათ შორის ქორნინებისა თუ რაიმე ნივთის ან რის პროდუქტების ყიდვა-გაყიდვისაც. დიდი ოჯახის ხელმძღვანელის გარდაცვალების შემთხვევაში

მმართველი კვლავ ხნით უფროსი მამაკაცი ხდებოდა, მხოლოდ ახლა მისი შეილებიდან. უფროსისადმი პატივისცემა, მორიდება და მისდამი მორჩილება ოჯახის ყველა წევრისათვის სავალდებულო იყო. სამეურნეო საქმიანობაში მამაკაცები სამამაკაცო საქმეს აკეთებდნენ, ხოლო ქალები — საქალებოს. ქალებს ხელმძღვანელობას უხუცესი ქალი უნდევდა. ოჯახის ყველა წევრს საცხოვრებელ ფართში საკუთარი ადგილი ჰქონდა დამკვიდრებული, ისევე, როგორც სამეურნეო საქმიანობაში ყველა თავის საქმეს აკეთებდა.

დიასახლისი რძლებს შორის ფუნქციების განაწილების დროს ასაქ ითვალისწინებდა. პურის ცხობა და საკვების მომზადება დიასახლისის მოვალეობას წარმოადგენდა. უფროსი რძლები საქონლის წველა-დღვებით, ტყავ-მატყლის დამზადებით, ოჯახის წევრებისათვის ლოგინისა და ტანსაცმლის მოვლა-პატრონობით იყვნენ დაკავებულნი, საშუალო ასაკის რძლები საქონელს უვლიდნენ და პატრონობდნენ, მინდონში მუშაობის დროს — მკაში, ფოცხვაში, ნაელის გადატანაში, თივის ზეინების დადგმაში, ლენვასა და ჭირნახულის დაბინავებაში მამაკაცებს ეხმარებოდნენ. საუმცროსო რძლების საქმეს სისუფთავის დაცვა, სახლის, ბოსელის, ეზოს მოვლა და სხვ. საქმიანობა წარმოადგენდა. მით უმეტეს, ისინი, სტუმრიანობის დროს, მომსახურებით იყვნენ დაკავებულნი. საუმცროსო საქმიანობათ სფეროდან ცალკე იყო გამოყოფილი პატარძლის ვალდებულება. დაახლოებით ორ თვემდე მას მხოლოდ სახლკარის დაგვა და ლოგინების გაშლა-ალაგება ევალებოდა. წყლის მოსატანად წყალზე გაყვანის შემდეგ, სადაც სათანადო რიტუალი სრულდებოდა, იგი სხვა რძლებთან ერთად საუმცროსო საქმიანობაში ერთვებოდა. ამასთან, მას როგორც ყველაზე უმცროსს რძალს, საუმცროსო სამუშაოებიდან პერსონალურად, ვახშმობის დროს ფეხზე დგომა და ხელში კვარით მამაკაცთა სუფრის გაშუქება ევალებოდა (ითონიშვილი 1969: 263-264).

სოციალურ ურთიერთობათა გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს მამაკაცის მიერ ირადის ე. ი. ქალის შესასყიდვი ფასის გადახდის ფაქტი ქორწინებაში და ქალის მდგომარობა ქმრის ოჯახში. ქალისათვის მზითვის გატანება სავალდებულო არ იყო. მას ქმრის სახლში მხოლოდ ლოგინი და რამდენიმე საოჯახო ნივთი მიჰონდა (ლეონტოვიჩი 1883: 52). რაც შეეხება ირადს (ყალიბი), იგი მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწევებოდა. ახალგაზრდა კაცი ამოირჩევდა თუ არა საცოლეს, ქალის სახლში ერთ-ერთ ამხანაგთან ერთად მიდიოდა, ქალის მამასთან სალაპარაკოდ. ქალის მამა მას კარგად შეხვდებოდა. სასიძოს სურვილის განდობის შემდეგ, მასპინძლის პასუხზე იყო ყველაფერი დამოკიდებული. მასპინძლის თანხმობის შემთხვევაში, ვაჟი ძალიან მაღლე ხელმეორედ მიდიოდა და საცოლის მამას 10 მანეთს უტოვებდა. ეს ფული წინდი

იყო იმისა, რომ მოლაპარაკება არ ჩაიშლებოდა. ირადის სიდიდე, ჩვეულებრივ, ოსეთში 105 მანეთს უდრიდა, თუმცა, პრივილეგირებულ წოდებრიობაში — ალდარებში და ცარგოსატებში იგი 300-დან 500 მანეთამდე აღწევდა. ყალიბის ნაწილი ფულით იყო გადასახდელი, ხოლო ნანილი ნატურით — ხარებით, ძროხებით, თითოეული თავი 10—15 მანეთად იყო შეფასებული. წინდის, 10 მანეთის მიღებიდან ქალის ოჯახი უკვე ქორწილისთვის ემზადებოდა. საპატარდლის უკერავდნენ კაბებს, უმზადებდნენ სხვა საჭირო ნივთებს. ამის შემდეგ ქალის სახლში მექორნილე ვაჟის მიერ გამოგზავნილი დეპუტაცია მოდიოდა, რომელსაც ირადი მოჰქონდა. ირადის გადმოცემის პროცესს პომპეზური ხასიათი ეძლეოდა, მას წინასწარ მოპატიუებული ხალხი ესწრებოდა. ქორწილამდე სამი დღით ადრე, ვაჟი 10—15 მეგობრით საცოლის მამის მეზობელ სახლში მიღიოდა და თან საცოლესა და საცოლის დედისათვის საჩუქრები მიჰონდა. ირადი ისეთში იმდენად მძიმე გადასახდელი იყო, რომ გადახდის შემდეგ ქმარს ქალი თითქმის ცარიელ სახლში შეჰყავდა. ამის შემდეგ ძნელი ხდებოდა ამ ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება. რაც ხმირ შემთხვევაში ისებს, საბოლოოდ ძარცვა-ყარალიბისაკენ უბიძგებდა (მთის... 1875: 255-256).

კ. ხეთაგუროვის მონაცემებით, დვალეთელ (ნარას ქვაბული) ისებში ირადი „სისხლის ფასის ზომას“ წარმოადგენდა. ერთხელ დადგენილი გადასახადი არასოდეს იცვლებოდა. ხეთაგუროვები, ზიდითხანოვები, მამიერები, ბურნაცევები, ძანაევები და ჯიოევები, ცუციევები, გუბაევები და საუტიევები 100 ძროხას იღებდნენ, მხოლოდ იმ პირობით, რომ 20 ძროხა აუცილებლად უნდა ყოფილიყო მიტანილი, 56 ძროხა — რითაც შეეძლოთ იმით უნდა გადაეხადათ: სახანგით, თაფლით, იარაღით, სხვა საქონლის სახით, რომელიც შეფასებული უნდა ყოფილიყო. ერთი ხარი 2 ძროხას უდრიდა, 5 ცხვარი — 1 ძროხას; დარჩენილი 24 ძროხა გარკვეული ნივთებით იცვლებოდა — ყანით (ჯეკილის), თოფით ან სპილენძის ქებით, რომელშიაც 24 ლიტრაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. უფრო დაბალი გვარის კატეგორიის მოსახლეობას გადასახადისათვის თავისი სახელწოდება ჰქონდა. მას Cap (თავი) ენოდებოდა. მათი ირადი არც 25 ძროხაზე ნაკლები არ იყო და არც 30 ძროხაზე მეტი. ირადის გადახდა ქორწილამდე იყო სავალდებულო. განქორწინების შემთხვევაში, თუ ქალი იქნებოდა დამნაშავე, ქალის მამა ვალდებული იყო შეილის ქმრის ოჯახისათვის მთლიანად დაებრუხებია ირადი. მაგრამ, განქორწინების შემთხვევაში, თუ მამაკაცი იქნებოდა დამნაშავე, ქალის მამა მანიც ვალდებული იყო ირადის ნანილი დაებრუხებინა — 54 ძროხიდან 126 ძროხამდე. განქორწინების დროს, ყველა შემთხვევაში შეილები მამას რჩებოდა. გაყრის პროცესი ქმრის მიერ თოფის გასროლით მთავრდებოდა, რომლის მოსასმე-

ნად სპეციალურად მეზობლებს იწვევდნენ. განქორწინების შემთხვევები იშვიათობას წარმოადგენდა. დაქვრივებული ქალი არჩევანის ნინაშე დგებოდა, ან მთელი სიცოცხლე ქვრივად უნდა დარჩენილიყო, შვილები შეენარჩუნებინა და ქმრის სახლში ყოფილიყო, ქმრის ძმას გაჰყოლოდა ცოლად, თუ იგი უცოლო იყო და კვლავ ქმრის სახლში შვილებთან ერთად დარჩენილიყო. მაგრამ თუ გათხოვებას მოინდობებდა, იგი ვალდებული იყო შვილები მამის სახლში დაეტოვებინა. საერთოდ, ქვრივი ქალის გათხოვების შემთხვევაში, ირადი — გადასახადი მცირე იყო (ვერიოდული... 1984: 144]). ქალი არც მამის და არც ქმრის ოჯახში მემკვიდრეობის უფლებით არ სარგებლობდა. ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ კაცს რომელსაც შემკვიდრე ვაჟი არ დარჩებოდა, მისი ქონება მამის მხრიდან ახლო ნათესავებს რჩებოდა (ლეონტოვიჩი 1883: 24, 34-35, 74). სოციალური ურთიერთობის მაგალითია ისიც, რომ ირადის გადახდაში ვაჟს მამის ახლო ნათესაური ჯგუფი, პატრონიმის წევრები ეხმარებოდნენ, მათი მონანილეობა კომპაზიციური სისტემით იყო გათვალისწინებული.

დიდი ოჯახის ასეთი ფორმა, ბუნებრივია, საოჯახო კოლექტი-  
ურ მფლობელობას და ქონებრივ-უფლებრივი ნორმებს დაცვას  
გულისხმობდა. ოჯახი საერთო ძალებით უვლიდა საკარმიდამოს,  
საცხოვრებელს, საქონელს, ამჟამავებდა და მოჰყავდა მოსავალი,  
მოხმარებითა კრთობლივად მოიხმარდა.

შრომით საქმიანობაში უზუნგციების განაპილება ასაკობრივი პრინციპით ხდებოდა. ხნით უხუცესი მამაკაცი ფიზიკურ მუშაობას მხოლოდ ავადმყოფობისა და სიბერით დაუძლურების შემთხვევაში ეწყოდა. უხუცესის საქმეში განაფულობას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგანაც მას მთავარი იყო ორგანიზატორული ნიჭი ჰქონოდა. იგი თავის შეიღებში, ოჯახის წევრებში ანანილებდა საქმანობას, იმის შესაბამისად თუ ვის რომელი საქმე უკეთ გამოსდიოდა, ე. ი. ოჯახის წევრები გაპიროვნებული იყვნენ სხვადასხვა სამუშაოები საქმიანობის შესასრულებლად. მწყემსი იშვიათად ხნავდა ან თიბავდა და, პირიქით, მთიბველი იშვიათად ხდებოდა მეცხვარე. ოჯახის საქმიანობა მკვეთრად მაინც გამიჯნული არ იყო, ამდენად სეზონურ სამუშაოებში საჭიროებისამებრ ყველა ერთდროულად მონანილებდა (ითონიშვილა 1969: 265).

მიაჩინიათ, რომ ოსების ცხოვრებაში სამეცნიერო უფლებები გვიან უნდა გაჩენილიყო. ძველად მამისა და პაპის, ე. ი. უხუცესის სიკვდილის შემთხვევაში, ოჯახში მმართველი იცვლებოდა, მაგრამ მოგვიანებით უხუცესის ე. ი. ოჯახის ხელმძღვანელის სიკვდილი ერთობის დაშლის, ოჯახის რღვევის პროცესს აპირობებდა (კოვალევსკი 1886: 319).

დიდი ოჯახების გაყრისა და ქონების განანილების მიზეზები ეთნოლოგიურ ლიტერატურაში სხვადასხვა სახელდება. გაყრის საკითხი დგებოდა ოჯახის მეტისმეტად გაზრდის გამო; ოჯახის წევრთა უთანხმოების, განსაკუთრებით კი სხვადასხვა თაობის რძლების დაპირისპირებისა და რძლებსა და მულებს შორის ურთიერთობის გამნვავების, პირველი თაობის ნარმომადგენლების გარდაცვალების შემდეგ, რადგანაც როდესაც ოჯახის გამრავლება აღნიშნულ საზღვრებს, მეხუთე თაობას სცილდებოდა, სისხლით ნათესავთა გაერთიანებას ახალი კონტურები უჩნდებოდა. სოციალური ერთეულის ის ჩარჩოები კი, რომელმაც დიდი ოჯახი იყო ჩასმული, ირდვეოდა. ახლო ნათესავთა ეს წრე კი, უკვე პატრონიმიული გაერთიანების ჩარჩოში ექცევოდა (ითონიშვილი 1969: 273—274). ჩვენი ვარაუდით, დიდი ოჯახის დაშლის ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი მიზეზი არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოო მტკიცებულებად, რადგანაც ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, მთავარი და ნამდვილი მიზეზი სათემო წყობილების რღვევის, მოსახლეობის დიფერენციაციისა და კერძო საკუთრების ჩამოყალიბება უნდა ყოფილიყო.

მრავალცოლიანობის შემთხვევაში, მხოლოდ პირველი ცოლი იყო კახონიერი. დანარჩენი კი მეორეხარისხოვანი, რომელთაც „ნომულუსს“ უწოდებდნენ. ამ ტერმინით ისნი მოიხსენიებოდნენ ალაგორის, თაგურისა და ქურთათის ხეობაში, ხოლო „კუმაჩის“ სახელით იყვნენ ცნობილი დიგორის ხეობაში. მრავალცოლიანობის დროს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ქალის რელიგიურ მრნამსას. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მ. კოვალევსკის მონაცემებით მუსულიმ ოსებში „ნომულუსი“-ს უფლებები დარეგულირებული იყო ადათობრივი სამართლით. მამაკაცი ნომულუსისათვის, საკმაოდ მცირეს, მაგრამ გარკვეულ გადასახადს მაინც იხდიდა. რაც შეეხება ქრისტიანულ სოფლებში „ნომულუსი“ და მისი შვილებიც უუფლებონი იყვნენ. იმდენად, რომ ქმარს შეეძლო ნომულუსი თავის შვილებით (ვაჟი იქნებოდა თუ ქალი) გაესხვისებია ე. ი. მიეცა სხვისთვის. თუმცა, შვილები კვლავ მის სახელზე იზრდებოდნენ. რაც შეეხება ოსეთის მუსლიმურ ოჯახებში, ქმარი „ნომულუსს“ არასოდეს გაყიდდა, ან არ მისცემდა სხვას, რადგანაც მას ამის უფლება არ ჰქონდა. ეს ყველაფერი ოჯახის გაყრისა და ქონების განანილების დროს იჩენდა თავს. მუსლიმს არ ჰქონდა უფლება, რომ ძმისთვისაც კი დაეთმო ნომულუსი. ერთადერთი რაც მას შეეძლო, მისთვის თავისუფლების მიენიჭება იყო. არც მუსულმის და არც ქრისტიანი ნომულუსის შვილები ქონების განანილებამ მონაწილეობას არ იღებდნენ (კოვალევსკი 1886: 233-234).

მ. კოვალევსკის მასალების თანახმად, საინტერესოა რომ საქართველოში — ნარის ხეობაში ~~— უცხოურული თემა წილი ნომულუსის ფინანსობის გასა~~

შვილები „კავდასარდები“ იმ შემთხვევაში თუ მთავარი ე. ი. პირველი ცოლი უშვილო იყო ან მხოლოდ ქალიშვილები ჰყავდა, მაშინ მემკვიდრეობაში მონაწილეობას იღებდნენ (კოვალევსკი 1886: 233). გარდა ამისა, საქართველოს ოსებში ქალს უფრო მეტი თავი-სუფლება ჰქონდა მინიჭებული. იგი თავისუფლად მონაწილეობდა რაიმე გარიგებაში, რომელიც მას ქონებრივ მდგომარეობას გაუუმჯობესებდა. თავისი მფლობელისაგან ე. ი. ქმრისაგან იღებდა უფლებას აერჩია მამაკაცი, მოევარებინა მასთან საქმე, რომელსაც შემდეგ ქმარი თვითონ გადასცემდა შვილებიანად (კოვალევსკი 1886: 235). ვფიქრობ, საქართველოს ოსებში ამ ჩვეულების ნაილობრივი ტრანსფორმაცია ქართველებთან ინტეგრაციის შესაძლო შედეგში უნდა ვეძიოთ, რადგან ქართველი ქალი ოსი ქალისაგან განსხვავებით უფრო თავისუფალი იყო. ამის დამადასტურებლად შეიძლება ზ. ვანევის რამდენიმე შენიშვნა საკმარისი აღმოჩნდეს. როდესაც იგი ოსურ ოჯახში ქალის მდგომარეობას განიხილავდა, ამბობდა, რომ ჩრდილო ოსეთში ოჯახზე მუსლიმური გავლენა იგრძნობოდა, ხოლო საქართველოს ოსებზე ქართული ე. ი. ქრისტიანული. მისი აზრით, ორივე „ოსეთში“ პატივს სცემდნენ ქალს და სამარცხებინოდ მიაჩნდათ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყნება, თუგინდ სიტყვიერის, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე ოსი ქალი უფრო დაცულად გრძნობდა თავს. თუმცა, „კავკასიონის ორივე მხარეს მცხოვრებ ისებში, მამაკაცების ჩხუბის დროს ქალი თუ გამოჩნდებოდა, მითუმეტეს შევოსანი (ე. ი. დამწუხერებული), იქ ჩხუბს ბოლო ედებოდა“ (ვანევი 1955: 10-11).

აღზრდას ბავშვები იჯახში იღებდნენ. შვიდი წლიდან ვაჟები მამის მსგავსად, ხოლო ქალიშვილები დედების მსგავსად, ცდოლობნენ ქვეების წესების ჩამოყალიბებას. მამებისა და ბიძებისა-გან ვაჟკაცობას, ცხენზე ჯდომას, იარაღის ხმარებას, შრომით ჩვევებს სწავლობდნენ. გოგოები საქალები საქმეს უფლებოდნენ, ეჩვევონენ სისუფთავის დაცვას, საკვების კეთებას, კერვასა და ქსოვას. ისინი სწავლობდნენ ქვევის წესებს, შრომას, ურთიერთობას, როგორც უცხო ისე, ახლობელ ადამიანებთან.

ქალის მდგომარეობა ქმრის სახლში ტრადიციით მტკიცედ იყო განსაზღვრული. იგი უნდა ყოფილიყო ქმრის მორჩილი, მისი სიტყვის შემსრულებელი. ქმრის გარდა, სხვა მამაკაცებთან ახლო ურთიერთობა მას აკრძალული ჰქონდა. ასრულებდა სახლის საქმეს, ეხმარებოდა დედამთილს და მისგან ყველაფერს სწავლობდა. მორჩილი იყო როგორც დედამთილის, ისე მამამთილის. მამამთილი-სადმი უაღრეს პატივისცემას გამოხატავდა. ტაქტიანი იყო მაზლებთანაც და მულებთანაც. მას ევალებოდა და უსიტყვოდ უნდა მომსახურებოდა კვების პროცესში მამაკაცებს. შრომის ფერხულში ყველა რასაც მაქსიმალურად იყო ჩართული და ამიტომ, მათი

როლი ოჯახის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი იყო. ქალს არანაირი საკუთრება არ გააჩნდა, როგორც მამის, ისე ქმრის ოჯახში. ქმარი სხვადასხვა სახლიდან თუ გააგდებდა, იგი შვილებსაც კარგავდა, რადგანაც ჩვეულებით სამართლით, შვილები მამას ეკუთვნოდა.

მართალია, ოსური ოჯახის საფუძველი მონოგამური ქორწინება იყო, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისშიც პოლიგამია გავრცელებული იყო. ყველას შეეძლო ერთი კანონიერი ცოლის ყოლა, მაგრამ ამის გარდა, ასევე მეორე ცოლის ყოლაც იყო ნებადართული, რომელიც უკანონოდ ითვლებოდა და „ნომულუსი“ ენოდებოდა. მაგრამ, პოლიგამია კავკასიაში, დამახასიათებელი იყო მდიდარი ადამიანებისათვის. ნომულუსის შეილები უკანონოდ შობილებად ითვლებოდნენ და მათ *xæpær-s* (კირს, სახელდარს) ან კავდასარდს უწოდებდნენ (ე. ი. ბოსელში დაბადებულს). კავდასარდებს თითქმის უუფლებო მდგომარეობა ჰქონდათ. ამრიგად, ოსურ ოჯახში შედიოდა — კანონიერი ცოლი და მისი შეილები, უკანონო ნომულუსი და მისა შვილები — კავდასარდები კანონ გარეშე იყვნენ და სახლის გარეთ, ბოსელის მსგავს ნაგებობაში ცხოვრობდნენ. გატაცებული ან ნაყიდი მონები, ასევე ითვლებოდნენ ოჯახის წევრებად (ვანეთი 1925: 14-15).

მატერიალური ობიექტების კლასიფიცირების დროს, საოჯახო, კოლექტური ქონება, კერძო საკუთრებად იყო მიჩნეული, თუმცა მას ოჯახის რამდენიმე თაობა, მრავალი სული ერთად ფლობდა. გაუყოფელი, ერთიანი ოსური ოჯახის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა მოძრავი და უძრავი ქონება — საცხოვრებელი, სახნავი მიწები, სათიბები, საქონელი, საოჯახო მოხმარების ნივთები, კერიას ჯაჭვი, სამეურნეო ნაგებობები — ნისკვილი, ბეღლები, საქონლის სადგომები, საცხოვრებელი სახლი — ხაძარ, ქონებრივი თვალსაზრისით, დიდი ოჯახისათვის მნიშვნელოვანი იყო მინა. ოსების საკუთრების ობიექტს მხოლოდ სახნავი და სათიბი წარმოადგენდა, რადგანაც ისინი მთებში ცხოვრობდნენ და იქ მინა მცირე ჰქონდათ. სახნავიც მძიმე შრომას მოითხოვდა. ამიტომ, ყოველი დიდი ოჯახი ცდილობდა სახნავი მინა, რომელიც მათ მფლობელობაში იყო მემკვიდრეობას დაქვემდებარებოდა (გაგლოითი 1974: 57).

დროთა განმავლობაში დიდი ოჯახი სეგმენტაციას განიცდიდა და ინდივიდუალურ ისახებად იშლებოდა (ვანეევი 1926: 400). თუმცა ოჯახის სეგმენტაცია მხოლოდ პრეველი თაობის წარმომადგენელთა, ე. ი. ოჯახის უხუცესი წევრების გარდაცვალების შემდეგ იყო მიზანშენონილი. გაყრა თემის კაცების ჩარევით ენყობოდა. ქონება თანაბარ ნანილად იყოფოდა, რამდენი კაციც ოჯახის გაყრის მომენტისათვის ნილის მიღების უფლებით იყო აღჭურვილი. მონილედ (ხაჯიჩი) მხოლოდ ძმები შეიძლება ყოფილიყვნენ.

ამ თაობის წარმომადგენლებს ქონებაზე მემკვიდრეების ერთნაირი უფლებები ჰქონდათ. მონილებზე ქონების გაყოფის ეს პრინციპი ერთნაირად იყო დაცული როგორც ცოცხალ, ისე უკვე გარდაცვლილი მონილების მიმართაც, რომელთა ნილს მათი ვაჟიშვილები იღებდნენ. მონილების ურთიერთშეთანხმების, ან ნიხასის წარმომადგენლების გადაწყვეტილების საფუძველზე, საერთო ქონების განაწილება ხდებოდა მონილების თანასწორუფლებიანობის პრინციპით. ამავე დროს, ურთიერთშეთანხმების შედეგად გამოიყოფდა საუფროსო ნილი (ჩისთარ ხა), რომელითაც უფროსი მონილის მიერ ოჯახისათვის ყველაზე დიდხანს განხეული დიდი შრომა იყო აღიარებული. ეს ნილი უმეტესად მამაპაპური სახლის დათმობაში გამოიხატებოდა, რომ უფროს ძმას კერიდან განაყარი ოჯახების შემდგომი კავშირი შეენარჩუნებინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცოლობისა და ყალიმის ე. ი. ირადის ხარჯების გადასახდელად უმცროს ძმასაც განსაკუთრებული ნილი ეკუთვნოდა, რასაც საუმცროს ნილი (ჩისთარიხა) ენოდებოდა. ეს ნილი მინის ნაკვეთით ან რამდენიმე სული (ცხვარ-ძროხით შემოიფარგლებოდა (ითონიშვილი 1969: 271—283). როგორც აღინიშნა, ირადი ქორწების დროს ქალის გამოსასყიდს ენოდებოდა. იგი საკმაოდ მძმე გადასახადი იყო. მამაკაცს ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, იგი ვალდებული იყო ქალი ეყიდა და მისი შემობლებისათვის და ახლო ნათესავებისათვის ირადი გადაეხადა. ამავე დროს, დიდ ხარჯებს მოითხოვდა ქალის ახლო ნათესავების საჩუქარი, რომ ცხენი, ირადის გადაცემის დროს გამართული სუფრა, და ქორწილის ხარჯებთან ერთად პატარძლის ახლო ნათესავების სხვადასხვაგარი საჩუქრები.

ნათესაური ურთიერთობების სოციალური ხასიათი მუდავნდებოდა საქორწინო ურთიერთობებშიც. ქორწინების დროს მთავარი იყო მოლაპარაკება, რომელიც ახლო ნათესავები მონაწილეობდნენ. ქორწინები საკითხი აქ ასე დგებოდა — პატარძლის ოჯახი საქმროს ნათესავებს უთმობდა ქალს მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი დაგვენილ გასამრჯელოს მიღებდნენ. თუმცა, ხშირად უქორწილა და ირადის სიდიდე აიძულებდა პატარძალსა და მომავალ ქმარს მოლაპარაკების შედეგად მოტაცების იმიტაცია ჩაეტარებინა. ასეთ დროს ირადი არ გადაიხდებოდა. ბუნებრივია, მოტაცებაშიც ვაჟის ახლო ნათესავები იღებდნენ მონაწილეობას, რომელთა ვალი იყო დახმარება. ძალით მოტაცებას იშვიათად ცდილობდნენ, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ვაჟის ოჯახსა და მის ნათესავებს ორმაგი ირადის გადახდა ეკისრებოდათ.

ოსეთში ქალის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა მძმე იყო, მას მემკვიდრეობა არ ეძლეოდა არც მამის მხრიდან და, გაყრის შემთხვევაში, არც ქმრისგან იღებდა კონცენსაციას. გათ-

ხოვების მომენტში არც მზითვის მიცემა ითვლებოდა სავალდებულოდ. მზითვს ერთი ხელი ლოგინი და საოჯახო ნივთები — სპილენძის ტაშტი, მაკრატელი, სავარცხელი და მსგავსი საჭირო პირადი ნივთები შეადგენდა (ლეონტოვიჩი 1887: 7; კოვალევსკი 1886: 294-295). განსხვავებულ და საინტერესო მასალას იძლევა ვ. ითონიშვილი საქართველოში მცხოვრები ოსებში მზითვთან ერთად დადასტურდა ქალის ერთი ძროხის ან რამდენიმე თხის თუ ცხვრის მიცემის ნესი, რაც უცნობი იყო ჩრდილო ოსებისათვის. ეს ნესი ოსებს ქართველებისაგან შეუთვისებიათ, რის მანიშნებელია, პირველ რიგში, მისი ქართული სახელმიწოდება სათავო (სათავით-დან). ამ საქონელს ქმარი საერთო საოჯახო ქონებასთან ერთიანებდა, რომლის დაბრუნება მას ნებისმიერ შემთხვევაში შეეძლო. ოჯახის გაყრამდე ნამატი პროდუქცია ოჯახს ხმარდებოდა. გაყრისა და ქონების განაწილების მომენტში კი თავი ქალს უბრუნდებოდა, როგორც მისი საკუთრება. ნამატი თანაბრად ნაწილდებოდა მონიშვნებს შემორის (ითონიშვილი 1969: 285). მაგრამ რაც შეეხება, ნომულუსსა და მის შემორის მომენტში ისინი თითქმის უუფლებონი ჩანან. არც ქალს და არც მის კავდასარდ ვაჟებს და ქალიშვილებს ქონებიდან ნილი არ ეკუთვნოდა. ნომულუსი ქმრის კმაყოფაზე ჩრდილი სიკვდილის ბოლომდე. მამას არ შეეძლო მისი ვაჟი (ნომულუსის შემორი) სახლიდან გაეგდო, მაგრამ არც საოჯახო ნილიდან ეკუთვნოდა რაიმე. თუ ცალკე მოინდომებდა ცხოვრებას, მას ერთ ბოსელს გამოყენებული დაბრუნებას, რაც მთავარია, იგი მთელი სიცოცხლე (თუ თავისუფლებას არ მოინდომებდა) ემსახურებოდა მამის ოჯახს და პირველი ცოლის კანონიერ შემორის. მაგრამ თუ იგი დამოუკიდებლად ცხოვრებას აირჩევდა, იგი არჩევანში თავისუფალი იყო. შეეძლო ოჯახიდან ნასულიყო, თუმცა, ქონების შოვნის სხვა საშუალება უნდა მოეძება (კოვალევსკი 1886: 239-236). ამ შემთხვევაში ხშირად ოჯახიდან გასული მამაკაცი მეკონტრებოდით, „საშოვარზე გასვლით“ ე. ი. ყაჩალობით შოულობდა ქონებას და ცდილობდა თავისი თავი საზოგადოებაში ამ სახით დაემკვიდრებინა.

მ. კოვალევსკის მონაცემებით მამისონისა და ნარის ხეობებში (დვალეთში) თითქოს ოსები გაქრისტიანდნენ, მაგრამ მათ არ დაუკარგავთ მაინც ნომულუსების ყოლის ჩვეულება. ამ ხეობებში, მისი აზრით, ნომულუსების ყოფა მაინც განსხვავებული იყო — მათი რაოდენობა ოსებისათვის გამდიდრების საშუალებას წარმოადგენდა (კოვალევსკი 1886: 239).

1879 წლისათვის რუსი პოლკოვნიკის კუნდუხოვის თხოვნის საფუძველზე (ოსური „ოკრუგის“ მმართველი) ოფიციალურად ირადი გაუქმდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან დიგორში, თაგაურში და ქურთათში XX საუკუნის დასაწყისამდე მოაღნია. ალაგი-

რის ხეობაში ირადის ფასმა თანდათანობით დაიკლო (კოვალევსკი 1886: 241-243).

საინტერესოა, რომ მუსლიმ ოჯახი, მიუხედავად იმისა, რომ ნომულუსის კისერზე გადადიოდა მთელი ოჯახის ძირითადი შრომა, იგი ქმრის მორჩილი იყო, ქმარს შეეძლო გაელახა, შეურაცხუოფა მიეყენებინა ქალისათვის, მაგრამ ქალის გაყიდვის და სხვაზე გადაცემის უფლება მას არ ჰქონდა. ქმარს არ შეეძლო ცოლთან განმორება და გაყრა. დაქვრივების შემთხვევაში, ქალს ერთი ნელი ქმრის სახლში უნდა ეცხოვოდა და მიცვალებულის მოსაგონარიც უნდა გადაეხადა, მაგრამ ნასვლისას შვილებს ვერ ნაიყვანდა. ოჯახის ნევრების თანხმობით ნასულ ქალს ქმრის ნათესავები რაიმე მცირედით დაეხმარებოდნენ (წვრილფეხა საქონლით, ფულით) (კოვალევსკი 1886: 257-259).

ნომულუსის შვილების ყოფა მძიმე იყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას შეურაცხმოფელი სახელი კავდასარდი ერქვა, მეორე – მას მძიმე შრომა ჰქონდა. მთელი სიცოცხლე ბავშვობიდან მამის ოჯახს და მის პირველ ცოლს ემსახურებოდა. გოგონას გათხოვება მხოლოდ კავკასიონურზე შეეძლო. იმვიათი იყო შემთხვევა, რომ ასეთი ქალი ფარსაგა (ძლიერი გვარის „მეგობარი“ ანუ „გვერდზე მცხოვრები“) მოსწონებოდა. ყმანვილი მამის სახლში რჩებოდა. მართალია, სრულწლოვანს შეეძლო ცალკე დასახლებულიყო, მაგრამ სრულიად უსახსროს მამის სახლში დარჩენა ერჩივნა. მიუხედავად ამისა, იგი თავისუფალი იყო, და თუ შესძლებდა ცხოვრება ცალკე შეეძლო დაწყო.

## დამოწმებული ლიტერატურა

გაგლოითი 1974 – Гаглity З. Очерки по этнографии осетин, I, Тб., 1974.

ვანეთი 1925 – Ванети З. Индивидуализм и коллективизм в родовом быту осетин. Владикавказ. 1925.

ვანეევი 1926 – 1926; Ванеев З. Индивидуализм и коллективизм в родовом быту осетин. ИОНИИК, вып. II, Владикавказ. 1926.

ვანეევი 1955 – Ванеев З. Из истории родового быта в Юго-Осетии. Тб., 1955.

თოფჩიშვილი 2008 – თოფჩიშვილი რ. ოსთა ნინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, тბ., 2008.

თოფჩიშვილი 1997 – თოფჩიშვილი რ. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოსტორიის საკითხები. тბ., 1997.

თოფჩიშვილი 2006 – Топчишили Р. Грузино-осетинские этнографические очерки, Кутаиси, 2006.

იოონიშვილი 1969 – იოონიშვილი ვ. ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, тბ., 1969.

კავკასიის ... 1988 – История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в. М., 1988.

კალოევი 1967 – Калоев Б. Осетины, М., 1967.

კოკიევი 1885 – Кокиев С. Записки о быте осетин, СМЭ, I, М., 1885.

კოვალევსკი 1886 – Ковалевский М. Современный обычай и древний закон, т. II, М., 1886.

ლეონტოვიჩი 1883 – Леонтович Ф. Адаты Кавказских горцев, II, Одесса, 1883.

მთი... – «Горские ведомости», 1875; Газ. «Горские ведомости», 1875, №9, Периодическая печать Кавказа об Осетии и сетиных, Сб., I, Цхинвали, 1981.

მაგომეტოვი 1968 – Магометов А. Культура и быт осетинского народа. Орджоникидзе, 1968.

ოსი ხალხი... 1967 – Просхождение осетинского народа. Сборник статей, Орджоникидзе, 1967.

რობაქიძე, გეგეჭკომი – 1975; Робакидзе А. Гегечкори Г. Формы жилища и структура поселения горной Осетии, Тб., 1975.

**რთბაქიძე** 1968 – Робакидзе А. И. Жилища и поселения горных ингушей, КЭС, II, Тб., 1968.

**ხემოთხოვი** 1928 – Семенов А. П. Археологические и этнографические разыскания в Ингушетии, Владикавказ, 1928.

**ტაკიევა** 1952 – Такоева Н. Ф., Из истории осетинского горного жилища, СЭ. №3, 1952.

**ჯავახაძე** 1989 – Джавахадзе Н. Система родства осетин. Тб., 1989.

**ჰეროფული...** 1984 – Этнографический очерк К. Л. Хетагурова «особа». Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах, IV, Цхинвали, 1984.

Саломэ Бахиа-Окруашвили

## ВОПРОСЫ СОЦИАЛЬНЫХ ОТНОШЕНИЙ У ОСЕТИН

Социальные отношения современных осетин развивались на фоне традиционных самобытных нравов и обычаях осетинских общественных и родственных институтов. В формировании отношений значительная роль возлагалась на большие и малые группы родственных объединений, предполагающие происхождение от одного предка. Отношения внутри родства первоначально регулировались экзогамией, соблюдение которой являлось непременным условием, способствовавшим укреплению родственных уз.

Генеалогическая структура создавалась по линии прямого и косвенного родства, где права и обязанности родственников регулировались по принципу близости и дальности их родства. Социальный характер поведения и функций каждого члена родственного объединения в обрядах бракосочетания, рождения ребенка, погребения усопшего, взаимопомощи и других ритуалах был четко регламентирован. В то же время, во взаимоотношениях, в общественной, социальной и экономической сферах проявлялась специфическая система управления и подчинения. Внутренняя социальная суть жилища отчетливее зафиксирована в жилых комплексах типа башни или дома-крепости, в которых установлено существование единой площади, называвшейся по-осетински *хадзар*. В едином пространстве были строго определены все части жилой площади, и центральное место здесь занимал очаг – символ единства и святости семьи. В жилом комплексе свое место имели и рядовые члены семьи, а также семейный хозяйственный

инвентарь. С жилой площадью соединялась хозяйственная площадь, где располагались хлев и амбар, размер которых был прямо пропорционален экономическому достатку семьи и свидетельствовал о роли и месте этих отраслей хозяйства в быту семьи. Хозяйство осетин характеризовалось соразвитием земледелия и скотоводства. Специфика осетинского жилища обуславливала традициями большой семьи. На основе изучения социальных отношений осетин можно сказать, что для населения горной Осетии, т. е. Северной Осетии, был характерен низкий уровень развития производительных сил, обусловленный архаичностью общественных институтов. В свою очередь, уровень общественного развития определил соответствующий характер взаимоотношений социальных институтов и их членов. Что касается осетин-мигрантов в Грузии, то уровень хозяйственного развития и социальных институтов и, исходя из этого, социальных отношений у них был выше. Безусловно, культурно-исторические контакты грузинского и осетинского народов оказали большое влияние на формирование традиционного осетинского быта, что нашло отражение в целом ряде элементов и черт материальной культуры, религии, хозяйственной деятельности, семейных и общественных отношений осетин.

Таким образом, в результате изучения социальных отношений осетин установлено, что население Северной Осетии сохранило более архаичные и примитивные формы хозяйствования, нежели осетины Грузии. В Грузии сформировались иные, отличные от северных осетин, общественные и социальные институты, сложилась иная структура социальных отношений. И что самое главное, в отношениях между всеми социальными единицами и внутри их, а также в обычаях и элементах быта грузинских осетин отчетливо прослеживается то обстоятельство, что они оказались и осели на территории Грузии именно путем миграции.

**რეხვიაშვილი 1974** — რეხვიაშვილი ს. სხვისშვილობა მთის რაჭაში (წეს-ჩეცულებების შესახებ). — გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1974, 8 იანვარი.

რევიზოლი 1977 — ქართველ და ჩრდილო კავკასიელ მთა-  
ელთა მეცნიერებლების სტორიდან, თბ., 1977.

**რევგიაშვილი 1974** — რევგიაშვილი ს. ქართველ და ჩრდილო კავკასიულ მთიელთა სავაჭრო ურთიერთობების ისტორიიადან, ეთნოგრაფიული ნარკევენი, თბ. 1980.

Гоциридзе Г. Ш.

## ОБ ОДНОЙ ЗАПИСИ ИЗ ЖИЗНИ СЕВЕРО-КАВКАЗСКИХ ГРУЗИН

Корни культурно-исторических связей грузин и северо-кавказских народов уходят в глубь веков. Результатом этой многовековой традиции является поэтапное переселение горцев восточной и западной Грузии (рачинцев, сванов, пшавов, кахетинцев) в Кабаридино-Балкарию, Владикавказ, Карачаево-Черкесию, Адыгею, Дербент, Дагестан и другие регионы. Огромную роль в этом отношении сыграл институт «куначества//конагоба//кердзоба//аталичество» и другие формы искусственного родства. Потомки старых переселенцев по сей день живут в этих краях и несмотря на изменение конфессиональной принадлежности, они четко сохраняют признаки национальной идентичности и самосознания.

Автор статьи опирается на личное письмо рачинского представителя Реваза Эристави, который будучи в гостях у кабардино-балкарских грузин описывает эпизоды этой встречи. Письмо является подлинником и находится в архиве автора этой статьи.

როზეტა გუჯარიანი

საკრალური დროშები  
ქართულ ტრადიციაში („ლემი“)

საკრალური დროშები ქართული ტრადიციული კულტურის  
მნიშვნელოვანი ელემენტებია. საისტორიო და ეთნოგრაფიული მა-  
სალით ცნობილია როგორც ქრისტიანობამდელი ხანის, ასევე შუა-  
საუკუნეებისა და თვით თანამედროვე ყოფაში არსებული საკრა-  
ლური დროშები.

ტრადიციულ სულიერ // სოციალურ სიმბოლიკასთან, მათ შორის, საკრალურ ღროშებთან, დაკავშირებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა ავლენს სიმბოლოებისა და სარიტუალო პრაქტიკის მრავალ არქაულ პასაჟს, რომელიც ერთიანია ყველა ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოემისათვის /ჯგუფისათვის თვით უძველეს ხანშიც კი (ჯავახიშვილი 1979; ჩიტაია 1941; ბარდაველიძე 1968; აბგულია 1997; ხიდაშვილი 2005...).

ქართული საკრალური დროშების ისტორია მჭიდრო კავშირშია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ ყოველსათან.

ცონბილი, რომ ეთნოსთა ცენტრალურ ღირებულებათა სისტემად წოდებული ფერინმენი და ტრადიციული ცხოვრების წესი მჭიდრო კავშირშია ყოველივე იმასთან, რაც საზოგადოებას საკრალურთან (რელიგიურთან) აახლოვებს (გურევიჩი 1981; გურევიჩი 1989; გურევიჩი 2001). ქართულ ტრადიციულ ყოფაში არსებული საკრალური დროშები, ცხადია, რელიგიური ცხოვრების წესთან ასოცირებული ელემენტებია, რელიგიური რიტუალების აუცილებელი ატრიბუტებია. ასეთ რიტუალებში გარკვეული არტეფაქტის ამოკითხვაც შეიძლება, რომელიც ტრადიციული ადამიანის სულიერ სამყაროს, განწყობებსა და ემოციებს წარმოაჩენს. ამავე დროს, საკრალური მნიშვნელობის არტეფაქტების ანალიზი ავლენს ნივთის და რიტუალის მთელ ისტორიულ დინამიკას, ისტორიული გან-

ვითარების ჭრილში წარმოაჩენს ტრადიციული მენტალური ღრიებულებების გენეზის.

სვანეთის საკრალური დროშა – ლემი, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს რელიგიური და სოციალური ფუნქცია, განსაკუთრებული მნიშვნელობის არტეფაქტია ქართულ კულტურაში, ვინაიდან გაერთიანებული საქართველოს სხვადასხვა საერთოსთავოს დროშათავან შემონახული მხოლოდ ეს დროშაა. ისევე როგორც საქართველოს სახელმწიფო დროშა, სვანეთის ეს დროშაც წარმოადგენდა ძალაუფლების ნიშანს და ლაშქრის მთლიანობის სიმბოლოს (ბარნაველი 1953: 27; ბარდაველიძე 1963) და, შესაძლოა, იგი ვახტანგ გორგასლის ხანას უკავშირდებოდეს.

ლემი სვანეთის ერთ-ერთი დიდი სინმიდეა და დღემდე ქართველ მთიელთა (სვანთა) სიამაყის საგანია.

ზემოთაც აღნიშნეთ, დატვირთულია, როგორც დადებითი, ისე  
უარყოფითი იმპულსებით.

რუსეთის მიერ კავკასიილი ხალხის დამორჩილების შემდგომ, ცარისტული პოლიტიკა მათი საბოლოოდ დამონცხისაკენ ნარიმარ-თა, რაც თავდაპირველად თანაბრად შეეხო, როგორც ქართველებს, ისე მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოხებს. რუსი მოხელეები-საგან უკიდურესად შევიწროვებული და დამცირებული ოხები ქართველებთან ერთად იძრდოდნენ მათ წინააღმდეგ. მაგალითად, 1804 წლის ქართლის მთიანეთის აჯანყების დროს თაგაურელმა ოხებმა რუსებს წინააღმდეგ დაიწყეს გამოსვლება. აჯანყებულ მთიულებს შეუერთდა თრუსოს რეგიონში მცხოვრები თითქმის ყველა სრულასაკოვანი მამაკაცი. აჯანყების ჩახმობის შემდეგ მათ ქართველებთან ერთად სასტიკი რეპრესიები განიცადეს. 1810-1811 წლების აჯანყების დროს, ოხები ლევან ბატონიშვილს დაუდ-გნი გვერდში (ტყავაშვილი 2008: 80) და სხვ.

გხევ გვევის (ლურჯიანი) მაგრამ, რუსეთს არ აწყობდა ქართულ-ოსური აღიანის და თა-  
ვისი შორსმიმავალი მიზნების განხორციელებას სწორედ ოსების  
(და ასევე საქართველოში მისივე ხელშეწყობით გადმოსახლებულ  
სხვა ეთნოსთა) მიმართ ცბიერი პოლიტიკის გატარებით პირებდა.  
ეს იყო ოსების (და სხვა ეთნოსთა) ქართველებთან შედარებით პრი-  
ვილეგიორებულ მდგომარეობაში ჩაყენების და მათვის ქართული  
მიწების დანანილების პოლიტიკა. როგორც ზემოთაც ითქვა, ოს

ხიზნებს ქართველ თავადაზნურთა საუკეთესო მინები ეჭირათ — ათასობით დესტრინა კავკასიის ქედიდან მეჯვრის სხვამდევ, საცი-ციანოსა და საჯავახოში, რომელიც მათ ვორონცოვის პროექტით უფასოდ გადაეცა (ჭუმბურიძე 2003: 40). თავისთავად ეს ვითარება ქართველი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა და, ბუნებრი-ვია, ოსების მიმართ უარყოფითი განწყობის ჩამოყალიბებას უწ-ყობდა ხელს.

ქართულ-ოსურ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ეტაპი ქართულ სახელმწიფოში ოსთა სახელმწიფო ბრივ-ტერიტორიული წარმონაქმნის ფორმირება იყო. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, ბოლშევიკებისაგან შეგულანებული ოსები მოითხოვდნენ ცალკე სამაზრო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას. მათ მოინვიეს სახალხო ყრილობა, აირჩიეს ეროვნული საბჭო, რომელმაც თავი-დანვე ხელში აიღო პოლიტიკური ძალაუფლება, ისინი ეროვნულნი თვითნებურად შიდა ქართლის (უნიტებდნენ სამხრეთ ოსეთს) სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურული (ცხოვრების ყველა სფეროში). 1918 წლის იანვარში სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ ამიერკავკასიის კომისარიატს წარუდგინა პროექტი, სადაც ისინი მოითხოვდნენ შექმნილიყო მაზრა ან ოლქი ეროვნული ადმინისტრაციით და დაზნესბულებებით, სადაც საქმის წარმოება „მშობლიურ ენაზე“ წარიმართებოდა (მაშინ ფართო ავტონომიის საკითხს ჯერ ვერ აყენებდნენ). საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ოსეთის ბოლშევიკურმა ეროვნულმა საბჭომ არ სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ ოსეთის ეროვნული საბჭო მიზნად ისახავდა სამხრეთ ოსეთის შეერთებას რუსეთთან და შიდა ქართლის მოსახლეობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მოუნდებდა. შიდა ქართლში მცხოვრები ოსები აშკარად დაუპირისპირდნენ პირველ რესპუბლიკას და დაინტეს ქართული მიზის მისაკუთრებისა და ოსური სახელმწიფო ფორმირების შექმნის მცდელობა (სონღულაშვილი 2009: 106). ეს პერიოდი აღინიშნა ოსთა სამგზის შეიარაღებული აჯანყებით 1918, 1919 და 1920 წლებში, რაც ცალსახად რუსეთისაგან მართული ქმედებები იყო. მათ მიზანს საქართველოდან „სამხრეთ ოსეთის“ გამოყოფა, რუსეთთან შეერთება და შემდგომ, დასუსტყებული საქართველოს ხელისუფლების სრული დაპყრობა წარმოადგენდა. ქართველთა და ოსთა პირველი დაპირისპირების საბაბად ტყით სარგებლობის საკითხი იქცა. ისტორიულად ცნობილია, რომ სოფელ ავლენში მცხოვრებ ოსებს, რომლების ხიზნის უფლებით იყვნენ აღჭურვილი, შეეძლოთ უფასოდ ესარგებლათ ტყით, ამ სოფლის მევიდრი ქართველები კი ამ უფლებას მოკლებული იყვნენ და თითოეულ კომლს 5 მანეთი გადასახადი ჰქონდა დანესხებული. ბუნებ-

როვია, ქართველები ამ ვითარებას პაროტესტებდნენ, მაგრამ უნა-  
ყოფილ, რადგან სოფლის აღმასკომში უმრავლესობას უკვე ოსები  
შეადგენდნენ. მდგომარეობა კიდევ უფრო გაროულდა, როდესაც  
1918 წლის იანვრიდან ფრონტიდან დაბრუნებულმა ოსმა ჯარისკა-  
ცებმა შექმნეს 300 კაციანი რაზმი „წესრიგის დამყარების მიზნით“.  
ისინი თავდასხმებს ახორციელებდნენ ძირითადად ქართულ ოჯა-  
ხებზე. რეგიონში არ ულობამ დაისადგურა. ერთმანეთში აირია  
სოციალური, ეროვნული და სეპარატისტული მოტივები, რასაც გა-  
ნიარაღების მოთხოვნაც აძლიერებდა (სამხრეთ ოსეთის... 1991;  
ბლუაშვილი: 2005). აღნიშნულ მოძრაობებს სეპარატისტული  
მიდრეკილება ჰქონდა, მასში მონანილეობდნენ უმეტესწილად  
მიდრეკილება ჰქონდა, მასში მონანილეობდნენ უმეტესწილად  
ოსები, რასაც მარჯვედ იყენებდა საბჭოთა რუსეთის ხელისუფლე-  
ბა. უკანასკნელი 1920 წლის მაისის აჯანყება საქართველოს ხელი-  
ბა. სუკანასკნელი 1920 წლის მაისის აჯანყება საქართველოს ხელი-  
ბა. სუკლებამ ჩაახშო; ეს იყო წმინდა ანტიბოლშევიკური ოპერაცია.  
სუკლებამ ჩაახშო; ეს იყო წმინდა ანტიბოლშევიკური ოპერაცია.  
მაშინ ეს აჯანყებები საქართველოს ხელისუფლების „შოვინისტუ-  
რი“ პოლიტიკის შედეგად „დაჩაგრული ოსების“ სამართლიან პრო-  
ცესტად, ერთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციისა და  
საბჭოთა ხელისუფლებისათვის ოსთა თავგანნირულ ბრძოლად  
თასდებოდა (ბლუაშვილი: 2005).

ფასდებოდა (ბლუაშვილი: 2005). არ აღვნიშნოთ, რომ ამ მოვლენებს დღეს რუსეთის პრემიერმა ვ. პუტინმა შემდეგი კვალიფიკაცია მისცა: „გვახსოვს, რომ ჯერ კიდევ 1920 წელს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ოსი ხალხის ჩინააღმდეგ სამი სადამსჯელო თავრიაცია ჩატარეს. ეს ყველაფერი არის უმძიმესი ისტორია, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით გვერგო. ეს ისტორია უნდა გვახსოვდეს, არ დავივინყოთ და ზედმინენით ფრთხილად ვიმოქმედოთ“ (რეზვიაშვილი).

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს განაკვეთის შემდეგ 1922 წლის 20 აპრილს შეიქმნა. საბჭოთა პერიოდში ქართულ-ოსური ურთიერთობები თანდათან მორეგულირდა, გასაყოფი და მისატაცებელი აღარაფერი იყო, ხალხი მშვიდობიან თანაცხოვრებას შეუდგა და აკულტურაციის პროცესი ინტეგრაციის მიმართულებით უმტკიცნეულოდ ნარიმართა. ამის დასტურად შეიძლება მოვიტანოთ უამარავი მაგალითი ქართველთა და ოსთა ყოფილად, როდესაც ეს ხალხები ერთმანეთის ენაზე საუბრობდნენ, არ იყო ქართული ან ოსური ოჯახი, სადაც მეორე ეთნოსის ნარმომად-გენელი არ ჰყოლოდათ სიძეედ ან რძლად, ერთმანეთს უნათლავდენ შეიღებს, ძმად ეფიცებოდნენ, ერთმანეთის გვერდით იდგნენ ჭირ-სა და ლხინში, ნარმოება-დანენსებულებებში, კოლმეურნეობებსა-თუ საბჭოთა მეურნეობები ერთმანეთის გვერდით გვერდენ მუშაობ-დენ, ერთობლივ საქმიანობას ეწეოდნენ, ერთად აღნიშნავდნენ რელიგიურ დღესასწაულებს და სხვ. ამას ცხინვალიდან დევნილ

რესპონდენტის სიტყვებიც ადასტურებს: „ცხინვალში რომ ვცხოვ-  
რობდით, იქ სულ ერთად ვიყავით ოსები და ქართველები. ერთად  
ვმუშაობდით, ქართველებმაც ვიცოდით ოსური და იმათაც ქართუ-  
ლი. ჩვენმა ბაგშვებმა ხომ ზედმინევნით კარგად იცოდნენ. რაც  
მახსოვს, რამე უსიამოვნება არა გვქონია. მეზობლობა კარგი  
იცოდნენ, ყურადღება, ჩემ ქმარს ძმაკაცები ყავდა ოსები, ერთი  
ოჯახი იყო სოფელ ზონკარში. იმათთან სტუმრად ჩავდიოდით, ძა-  
ლიან პატივს გვცემდნენ, მერე სახლში რომ ვპრუნდებოდით, ალარ  
იცოდნენ რა გამოეტანებინათ, ყველიო, თაფლიო, და რა ვიცი. ისი-  
ნიკ ხმირად ჩამოდიოდნენ ჩვენთან ცხინვალში“.

ზემოთ მოტანილი შედარებით ვრცელი ისტორიული ექსკურსი ქართველებისა და ოსების ურთიერთობის შესახებ ნათლად ნარმო-აჩენს იმ ისტორიულ ფონს, რაც ამ ხალხების ურთიერთგანწყობას განაპირობებდა. ისტორიის მსვლელობის დროს ეთნოსთაშორისი ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბებული ეთნიკური განწყობები არ ქრება, ის ილექტება ინდივიდისა თუ ჯგუფის ცნობიერებაში და სტერეოტიპიზაციის პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი აკისრია. ქართველთა და ოსთა ეთნიკურ სტერეოტიპთა ჩამოყალიბება მათი მრავალმხრივი კომუნიკაციის საფუძველზე მიმდინარეობდა. ოსებისა და ქართველების დაპირისპირებისა თუ მხარში დგომის ისტორიული გამოცდილება მათი სტერეოტიპების ამბივალენტურ ხასიათში გამოვლინდა, ანუ მათში აისახა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ურთიერთგანწყობა. თუმცა, ფსიქოლოგიური თალსაზრისით, საბჭოთა პერიოდის ურთიერთობა გამოკვეთილად დადებითი ხიშნით ხასიათდება. ერთი შეხედვით, ის მართლაც უკონფლიქტო, მეგობრული და შევიდა იყო. მაგრამ, რატომ დაიწყვა ის ჰარმონია, რაც ქართველი და ოსე ხალხის საბჭოთა პერიოდს ურთიერთობას თან სდევდა? აյ იყო რამოდენიმე „მაგრამ“. ერთი მხრივ, ეს იყო რუსეთი და რუსი, რომელიც შეფარვით იკავებდა ადგილს ოსსა და ქართველს შორის, ანუ რუსული პოლიტიკა, რომლის როლიც ქართველ-ოსური ურთიერთობის თანამედროვე ისტორიაში განსაკუთრებით 1990-იანი წლებიდან გამოიკვეთა; და მეორე მხრივ, თვითონ ოსების ქვეცნობიერად არსებული უარყოფითი განწყობა (უარყოფითი სტერეოტიპი) ქართველების მიმართ, რომლის გააქტიურებაშიც კატალიზატორის ფუნქცია საბჭოთა კავშირის დაშლამ და მისმა თანმდევრმა მოვლენებმა შეასრულა. ამ პერიოდის ისტორია ნათელყოფს, რომ ბუნებრივად წარმოქმნილ ეთნიკურ განწყობებს გარკვეულ კალაპოტში ე. წ. მესამე აქტორი, ანუ რუსეთი აქცევდა.

კერძოს დროს და შემდგომ, როდესაც ნაციონალური მუხტის გამოლვისტებამ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ ხალხებში დამოუკიდებლობის იდეა გააქტიურა, სამხრეთ ოსეთი

ლიად გამოხატავს ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანების სურვილს; 1988 წელს ამ მიზნით ცხინვალში იქმნება ორგანიზაცია „ადამონ ნიხასი“, რომელიც სსრკ კომპარტიის ცეკვას ორი ოსეთის გაერთიანების თაობაზე მიმართავს. ეს ხდება ქართულ-ოსური ურთიერთობის დაძაბვამდე უფრო ადრე. საყურადღებოა, რომ აღნიშნულ პერიოდში თბილისში მიმდინარე პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამომხატველ ყოველ აქტსა თუ აქციას, ოსების მხრიდან საპასუხო რეაქცია ჰქონდა. 1989 წლის 15 აგვისტოს დადგენილებას ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის თაობაზე ცხინვალში დაძაბულობა მოჰყვა, რაც „ადამონ ნიხასმა“ თავისი შემდგომი გეგმების განსახორციელებლად გამოიყენა. მაშინ გაიმართა პირველი საპროტესტო მიტინგი ცხინვალში. ოსებმა გამოსცეს რეზოლუცია, რომელიც ოსურ ენას რეგიონის თფიციალურ ენად აცხადებდა. მიტინგებს სახალხო გამოსვლების ტალღა მოჰყვა. 1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის დეპუტატთა საბჭომ გამოცხადა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა. 1989 წლის 23 ნოემბერს დაახლოებით 15000-მდე ქართველი ეროვნული მოძრაობის ლიდერების ხელმძღვანელობით ცხინვალისაკენ დაიძრა, რაც ოსური მხარის მიერ აღქმული იქნა როგორც ძალის დემონსტრირების მდგრალობა. ქალაქის მისადგომებთან ქართველებს გზა გადაუღიერეს მართვა და საბჭოთა არმიის მე-8 პოლკის სამხედროებმა (საგულისხმო, რომ ოსებს ხელში ლენინის სურათები ეჭირათ). შეტაკებას მოჰყვა მსხვერპლი დალუპულთა და დაჭრილთა სახით. ცხინვალიდან ქართველების გამობრუნების შემდეგ, ქართულ სოფლებში დარჩენ ჯაბა იოსელიანისა და ვაჟა ადამიას მებრძოლები. დაიწყო შეტაკებები. შესაბამისად ამოქმედდა რუსეთის „საინფორმაციო მანქანა“. საინფორმაციო ომია მნიშვნელოვნად შეარყია ქართულ-ოსური ურთიერთობის ფსიქოლოგიური საფუძველი. ორივე მხარეს ვრცელდებოდა მართალი თუ მოგონილი ინფორმაცია, რომელიც განაპირობებდა ახალი უარყოფითი სტერეოტიპების ჩამოყალიბებას. როგორც დ. გამცემის ნერს: „ეს იყო მთელი ის თაიგული სტერეოტიპებისა, რომელიც ზოგადად დამახასიათებელია მასობრივი ნაციონალური ცნობიერებისათვის კრიზისულ პერიოდებში. ვიღაცამ ქართულ სოფელში ქართული დროშა დაწვა და ფეხქვეშ გათელა; ქაქუცა ჩოლოყაშვილს (თურმე ნუ იტყვით) „ბანდიტი“ უნდღეს და მისი სურათი დახიეს; სადღაც ოსებმა ქართველი ქალი გაუაპატიურეს; ცხინვალელი ქართველები დაბეჭავებული ჰყავთ; ატარებენ მიტინგებს საქართველოდან გამოყოფისა და ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების მოთხოვნით და ა. შ. ანალოგიური რამ მეორე მხარესაც ხდებოდა: „ქართველებს ჩვენი გასახლება უნდათ; საქართველოს სახალხო არონტი ამზადებს თავდასხმას ცხინვალზე; თბილისიდან ცხინ-

ვალში მონამდებული ხორცი შემოიტანეს — არ შეჭამოთ!; ქართველებმა თბილისში ოსების გენოციდი მოაწყვეს” (გამცემლიძე <http://www.experti.ge/kartuli15.htm>) და ა.შ

1990 წლის ზაფხულში, მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო საარჩევნო კანონი, რომელიც რეგიონალურ პარტიებს უკრძალავდა არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. ოსური მხარის მიერ ეს ნაბიჯი შეფასებულ იქნა, როგორც „ადამონ ნიხასის“ წინააღმდეგ მიმართული ქმედება და 1990 წლის 20 სექტემბერს — სამხრეთ ოსეთი გამოაცხადეს სსრკ-ს სუვერენულ სუბიექტად. იმავე წლის ოქტომბერში საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს ოსებმა პირიკოტი გამოუცხადეს და 9 სექტემბერს ჩაატარეს საკუთარი საპარლამენტო არჩევნები. პასუხად დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა სამხრეთ ოსეთის ავტონომია გააუქმა, შემოღებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა, დანესდა მმართველობა პრესაზე და აიკონალა დემონსტრაციები. ზ. გამსახურდიას მმართველობის პერიოდში საქართველოდან ჩრდილოეთ ოსეთში რამდენიმე ათასი ოსი წავიდა. კონფლიქტის შეიარაღებული ფაზა დაიწყო 1991 წლის იანვარში, როდესაც ცხინვალში შეკვანილ იქნა ქართული ჯარი. დაპირისპირება დაახლოებით წელიწადნახევარს გაგრძელდა, რაც რუსეთთან საინფორმაციო ომის ფონზე მიმდინარეობდა. როგორც დ. გამცემლიძე აღნიშნავს, იმპერიას სჭირდებოდა შეექმნა საქართველოში ისეთი ფსიქოლოგიური ფონი, რომელ ზე დაყრდნობით მას გაცილებით გაუადვილდებოდა ეთნოფსიქოლოგიური პროცესების მართვა, უპირველეს ყოვლისა, თავისი საინფორმაციო მანქანის მეშვეობით. „ეს იყო ნამდვილი საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ. ვლადიკავკაზში, ჩრდილოეთ ოსეთის საგანგებო კომიტეტის პრეს-ცენტრი ყოველდღიურად აქვეყნებდა შემაძრნუნებელი ინფორმაციას „სამხრეთ ოსეთში“ ქართველ „ბოევიკა“ მხეცობის შესახებ: «Грузинские боевики обстреливают жилые кварталы города Цхинвали, обстреливают жилые кварталы» და ა. შ. თანაც ეს ყოველივე ფსიქოლოგიური ზენოლისას აუცილებელი მეთოდი კით იყო დამუშავებული: მონოტონურად, ერთფროვნად, ერთი და იმავე ინფორმაციის გადმოცემა გაუთავებლად: «Грузинские боевики, грузинские боевики, мирное осетинское население, мирное население» (გამცემლიძე <http://www.experti.ge/kartuli23.htm>). ვრცელდებოდა და დეზინფორმაცია ოსთა გენოციდის თაობაზე. ცხინვალ-ჯავის გზაზე მომხდარი საზარეული ტრაგედია ქალებით და ბავშვებით სავსე ავტობუსზე თავდასხმა და მათი ამონტვეტა ქართველ ბოევიკებს დაბრალდათ, ქვეყნდებოდა კონფლიქტში დაღუბულ ოსთა საკმაოდ გაბერილი სიები და სხვ. ჩემი რესპონდენტი იხსენებს:

„პირველი ომი რომ იყო, ოსები დააწვენდნენ ვინმე თავისიანს, ნი-  
თელ სალებავს დაასხამდნენ, ვითომ მოკლული იყო, მერე სურა-  
თებს ულებდნენ და კინოსაც, იმას ავრცელებდნენ, ვითომ ქართვე-  
ლობის აგვითებული იყო. ეგ მაგათი „პოჩერკია“.

ლების გაკეთებული იყო. ეგ საგადა მარტო მოსახლეობა კონფლიქტის შედეგად ქართული მოსახლეობა დაზიანდა ნანიღლმა ცხინვალის რეგიონი დატოვა. აღნიშნულმა ვიბის დიდმა ნანიღლმა ცხინვალის საკმაოდ ნაყოფიერი შედეგი გამოთარებამ კი მესამე ძალისათვის საკმაოდ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო და დაპირისპირებულ ეთნიკურ ჯგუფებში ანტიოსური და ანტიავარი მოვალეობა გამოიწვია.

ტიქართული განწყობის ჩამოყალიბა-გამდათურებას შეუზყო ხელი. ცხნივალიდან დევნილი ქართველი მოგვითხრობს: „ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობა დაიძაბა მაშინ, როდესაც საქართველოში მოხდა ეროვნული ძალების გამოღვიძება და გააქტიურება, ეს პერიოდი ზოგად გამსახურდისა მმართველობის ხანას დაეხმარება, როდესაც ქართველებისათვის ეროვნულისა და დამოუკითხვა, როდესაც პლანზე გადმოვიდა და ამ მუხტმა მთელი საზოგადებლობის იდეა წინა პლანზე გადმოვიდა და ამ მუხტმა მთელი საქართველო მოიცვა. ჩვენ ცხინვალში მცხოვრები ქართველები მართველ მოიცვა, ჩვენ უნდა გავჩიტოთ, ან უნდა გავჩიტოთ, ან შინ არჩევანის წინაშე დავდექით, ან უნდა გამოვეცხადებინა, სწორედ აქედან ჩვენი ქართველობა ხმამალლა გამოვვეცხადებინა, სწორედ აქედან გაჩნდა დაძაბულობა ოსებსა და ქართველებს შორის. ოსებს არ მოგანიჭია დაძაბულობა ასებსა და ქართველებს შორის. საქართველონათ ქართველებში ეროვნული მუხტის გამოღვიძება და საქართველოში ამ მიმართულებით მიმდინარე მოვლენებს ადეკვატური თვეელობის პასუხობდნენ. იყო ამგვარი ბევრი წიუანსი, რასაც ყოველი პასუხობდნენ. ამგვარი ბევრი წიუანსი, რასაც ყოველი პასუხობდნენ“

ფასი ეკინოგრაფიული პოლიტიკის „უვერტრიურა“, რომელიც  
მანაძე კი იყო რუსული პოლიტიკის „უვერტრიურა“, რომელიც  
აღნიშნულ ურთიერთობაში ქართველების რუსებით ჩანაცვლებას  
ფსიქოლოგიურ ნიადაგს უმზადებდა. სწორედ ამის შესახებ ნერს  
რ. თოფჩიშვილი. ის ყურადღებას ამახვილებს რუსეთის პოლიტიკა-  
რ. თოფჩიშვილი. ის ყურადღებას ამახვილებს რუსეთის პოლიტიკა-  
ზე აღნიშნული მიმართულებით და ხაზს უსამს, რომ საქართვე-  
ლოს რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგ, ბევრი ოსისთვის  
XIX საუკუნის მეორე ნახევარი რუსულზე გადასვლის დაწყების პე-  
რიოდიდად იქცა. ხოლო, საბჭოთა პერიოდში ბოლშევიკურმა ხელი-  
სუფლებამ საბოლოოდ მოახერხა ოსების ქართველებისაგან გაუც-  
ხოება, ოსებისათვის რუსულ ენაზე ტოტალური სწავლების დანერ-  
გვით (თოფჩიშვილი 2005: 217), რასაც, შესაბამისად, ლირუბულება-  
და გადაფასება და ეთნიკურ ცნობიერებაში მნიშვნელოვანი  
ძერები მოჰყევა.

რე სასწავლო ენა ქართული იყო. ოსები კი ოსურს სწავლობდნენ მეორე ენად. მე ქართი ისი მყავდა და ბავშვებიც ოსურ გვარს ატარებდნენ; მე, როგორც ქართველმა გადავწყვიტე, რომ მათ მეორე ენად ქართული ესწავლათ, მაგრამ როდესაც დირექტორს მივგართე, წინააღმდეგობა გამინია, ოსებმა ქართული რატომ უნდა ისწავლონო. ახსნა-განმარტება დამტკირდა, ოფიციალური განცხადება მომთხოვეს, და საქმე საბოლოოდ ჩემი სურვილისამებრ გადაწყდა, თუმცა ნამდვილად იყო წინააღმდეგობა. ისიც მახსოვს, რომ ჩვენი სკოლის დირექტორმა, ვალერი გაზაევმა, რომელიც შეძლებ „ადამონ ნიხასის“ სულის ჩამდგმელი იყო, ეროვნულა ამბები რომ გაძლიერდა, კრება მოიწვია და მშობლებს გამოუცხადა, ჩვენი სკოლა ოსური გვახსადოთ. ისა შშობლები მაშინ წინააღმდეგი ნავიდნენ, ჩვენ გვითხრეს, თქვენ რა გიჭიროთ, თქვენ ბავშვებს საქართველოში ნაიყვანოთ, ჩვენებმა ოსურად რომ ისწავლონ, ოსური ზღლუდერს იქით არავის არ გამოადგებათ. იყო ლაპარაკი იმაზედაც, ეროვნული ამბები რომ დაიწყო საქართველოში და ქართულის საათები რომ გაიზარდა, ოსურის საათებიც გავზარდოთ, ამისი მომხრენიც არ იყენება. მაგას ჯობია ოსური საერთოდ არ ისწავლონო. საერთოდ, ოსურად ლაპარაკი სიირცხვილად ითვლებოდა, ცხინვალის ე. ნ. მაღალ საზოგადოებაში რუსულად ლაპარაკობდნენ. ოსურად მოლაპარაკებებს დაცინვით უყურებდნენ”.

ოსებისათვის საქართველოსთან შედარებით რუსეთის უპირატესობაზე საუბრობს დევნილი თამარაშენიდან: „მე ოსებთან ერთად ვმუშაობდი სკოლაში, ურთიერთობა კარგი გვქონდა, მაგრამ როცა ეროვნული მოძრაობა გაატეიურდა თბილისში, მაშინ დაიძაბა ჩვენი ურთიერთობა, თუმცა თავიდან ამას არ ამჟღავნებდნენ; ერთხელ მკითხეს ოსმა კოლეგებმა, მენ კი ძალიან გვიყვარხარო, მაგრამ რად გინდათ ეს დამოუკიდებლობა? სად რუსეთთან ყოფნა და სად თბილისთან, მარტო თბილისში მისვლა-შოსველა რას მოგვკერძოს“.

ყოფილი ავტონომიური ოლქებიდან დევნილი მოსახლეობა ოსურ-ქართული დაპირისპირების მიზეზს უპირველეს ყოვლისა რუსეთის ფაქტორით ხსნის, თუმცა ამის გარდა სხვა მიზეზებსაც ასახელებს: „საერთოდ ქართული ეროვნული მარცვალი რომ გალვივდა, ცხინვალშიც ადექვატურად ხდებოდა რეაქცია ამაზე. მე ვერ ვიტყვი იმას, რომ ოსების და ქართველების დაპირისპირება მარტი რუსების პროვოცირებული იყო. ალბათ იყო გარევეულად, მაგრამ თუ თავად ხალხი არ არის ამისი მომხრე, ის ამ პროვოკაციაზე არ ნამოეგება. ოსებში ეს მუხტი, როგორც ჩანს, იდო და როგორც კი სიტუაცია ჩაუვარდათ, კარგად ისარგებლეს. რატომ არ ნამოეგო ამ პროვოკაციას სხვა კავკასიელი ხალხი? ესენი არიან ასეთები საერთოდ. ქართველებთან რომ იყვნენ, ყველნაირად სარ-

გებლობდნენ. მაგრამ გულში ედოთ სიძულვილი ქართველებისა და სიკეთე ბოროტად გადაუხადეს". რესპონდენტები ოსებს ახასიათებენ, როგორც უმაღურ და სიკეთის დაუნახავ ხალხს: „ოსების უმაღურებაზე გითხრათ: მახსენდება ერთი ამბავი. ისევ ეროვნული მოძრაობა თბილისში იყო ზენიტში. ცხინვალში გარდაიცვალა ერთ-ერთი ცნობილი ოსი ეთნოგრაფის ნათესავი და იმის ქელებში ეციყავი. ჩემი ყურით მოვისმინე, როგორ ყვებოდა მეცნიერი, რომელიც ქართულმა სკოლამ გაზარდა, ქართველების ნაციონალისტობაზე და სიცუდეზე. გავირვებული დავრჩი, იმიტომ რომ ვიცოდი მისი ქართველებთან ურთიერთობის ამბავი. ისიც ვიცოდი, რომ ქართველ მეცნიერებში მას ბევრი მეგობარი ჰყავდა.... აქვე მოვის ჩანა ჩამოუყანია, ქართული ტერიტორია მშვიდობით გადმოულასავს, ოსებში კი დაუყარდებიათ და მანქანა ნაურთმევიათ. ის კაცი აღწევთებული იყო მომხდარით და ამბობდა, ეს ქართველებს რომ ექნათ, გავიხარებდი, მაგრამ სასონარკვეთილი ვარ რომ ქართველებმა არაფერი აქადრეს და ოსებმა კი ესე უყვესო". ან კიდევ: „ოსების დაუნახავობის მაგალითი, ძმები ქარქუსოვებია. ციხიდან გამოიყანეს, არადა ციხეში კოკოითიმ ჩასხა, პიროვნული უსიამოვნების გამო, რაღაც საქმე ვერ გაიყვეს და იმიტომ. წამოიყანეს საქართველოში, ფული მისცეს, ბინები, ქონება, ცხოვრება, პატივისცემა, კეთილდღეობა, ორი წელი კარგად გამოიყენეს სიტუაცია, მამაც კი ჩამოუყანეს მაგათ ჯავიდან, კბილები უმკურნალეს და სხვ. მერე მაგათაც უდალატეს და რუსებს მიეკედლნენ".

ცხინვალიდან მეორე დევნილი გვიყვება: „ჩვენ ცხინვალში რომ ვცხოვრობდით, ერთი ოსი ქალი გვყავდა მეზობელი. ცუდი კუფაქცევისა იყო და თვითონ არ ურთიერთობდნენ იმასთან. ჩვენ კარგად ვეკცევით, ჩვენით იყო, რომ იტყვიან, დახმარება, გვერდში დგომა, პატივისცემა, ჩვენგან ქონდა. მაგრამ როცა ეროვნული ამბები დაიწყო და ოსებმაც შიტინგების მოწყობა დაიწყეს, ის ქალი პირველი გავარდა იქ და ქართველების ნინაალმდეგ გამოსვლებში აქტიურად ჩაეხდა. ასეთია მათი მადლიერება".

1991 წლის კონფლიქტის შემდეგ ქართველებსა და ოსებს შორის პირადი ურთიერთობები მაინც შენარჩუნდა, ქართული მოსახლეობა ახერხებდა ცხინვალში შესვლას, უფრო კი ისინი, ვისაც ოსი მეგობრები ჰყავდა. იშვიათად ოსებიც სტუმრობდნენ თავიანთ ქართველ მეგობრებს: „ჩვენ რომ გამოვედით, სახლი მეზობელ ოსს ჩავაბარეთ, ის უვლიდა, იმ იმედით, რომ როდესლაც დავპრუნდებოდით, მაგრამ არ გამოვიდა. მერე ჩემი ქმარი რამდენჯერმე შეიყვანეს ცხინვალში ოსებმა და სახლიდან გამოიტანა რაღაცები. პრობლემა არა ჰქონია" (ზ. მეტროველი).

„ჩემ ქმარს ყავდა ოსი ძმაკაცები. თვითონ ისე ლაპარაკობს

ოსურს, რომ ოსისაგან ვერ გაარჩევ. ცხინვალიდან რომ გამოვედით, იმათი დახმარებით მერე ბევრი რამე გააკეთა, ძაან მხარში ედგნენ, შეყავდათ ცხინვალში, გამოატანინეს ნივთები" (ლ. აჩაბეთიდან).

რესპონდენტი, რომლის მეუღლესაც ოსი ძმადნაფიცი ჰყავდა ზონკარში და ზემოთ მათი ურთიერთობის შესახებ საუბრობდა, გვიყვება: „1991 წელს ეს ამბები რომ მოხდა და ჩვენ გამოვედით, ისინი ახლა ჩემი შეიღლიშვილის ოჯახში მიდიოდნენ ხოლმე ქურთაში. ახლა იმასთან მიპრონდათ მოსაკითხი, ჩვენთვისაც უტოვებდნენ ხოლმე გადმოსაცემად".

პირველი კონფლიქტის შემდეგ ქართველებსა და ოსებს შორის თანდათან აღდგა ურთიერთობა; მართალია ლია და თავისუფალი მიმოსვლა არ იყო, მაგრამ ინდივიდუალ დონეზე ქართულ-ოსური ურთიერთობა შეფარვით მაინც გრძელდებოდა. მოგვიანებით, ცხინვალიდან დევნილებს იქნა სასაფლაოზედაც ასაფლაცებდნენ, ქალაქში შესვლასაც ახერხებდნენ და სხვ. ქართული სოფლების მოსახლეობა ჯერ კიდევ ადგილზე იყო და, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობის, ყოველმხრივ და, მით უფრო, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მორეგულირებაში, მეღილუმის როლი ეკისრებოდათ.

შეუძლებელია ერგნეთის ბაზრობის შესახებ არ აღინიშნოს, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ურთიერთობის „დათბობის“ პროცესში. ერგნეთის ბაზრობის, როგორც ეთნოსთაშორისი სტაბილურობის ერთ-ერთი ფაქტორის მნიშვნელობას არა მარტო დევნილი მოსახლეობა, არამედ ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი და ზოგიერთი ექსპერტიც კი აღნიშნავს. „ქართულ-ოსური ურთიერთობის აღდგენის თვალსაზრისით ერგნეთის ბაზრობა მეტად დამაიმედებელი იყო. გასული საუკუნის მიწურულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის ქართველებსა და ოსებს შორის საყოფაცხოვრებო დონეზე კონფლიქტი თითქოსდა ამონურული იყო და კონფლიქტის ზონაში შესაძლებელი იყო შეუფერხებელი გადაადგილება. ასე რომ, ქართველებსა და ოსებს შორის ერთობლივმა ვაჭრობამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. თუმცა, კოკოითის რეჟიმი, რომელიც სათანადო აგტორიტეტით არ სარგებლობდა ადგილობრივ მოსახლეობაში, ძირითადად კონტრაბანდით სარგებლობდა. ერგნეთის ბაზრობა ერთი მხრივ ხელს უწყობდა ქართველი და ოსი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო დონეზე დაახლოებას, მაგრამ, ამავე დროს ბაზრობაზე კონტრაბანდული საქონლის მიმოქცევის მასშტაბებმა საქართველოს ეკონომიკისათვის მეტად საშიში ფორმები მიიღო (სანადირაძე 2009). სწორედ ეს უკანასკნელი გახდა ბაზრობის დახურვის მიზეზი. რაც შეეხება მოსახლეობას, ადგილობრივი გლეხების აზრით, ეს იყო ამ ხალხთა კვლავ დაახლოების

საუკეთესო საშუალება; მათ არც ჰქონდათ წარმოდგენა იმის შესახებ თუ რა და ვინ იდგა ამ პროცესების უკან. ბაზრობის გაუქმებამ ორივე მხარეს კომუნიკაციის საუკეთესო შესაძლებლობა მოუსპო. ბაზრობის გაუქმებას უკმაყოფილებით შეხვდნენ ოსებიც.

ბოლო პერიოდში, კონკრეტულად 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, ცხინვალიდან დევნილ ქართულ მოსახლეობაში შეინიშნება ოსების მიმართ განწყობის ცვლილება ზომიერად უარყოფითიდან ძლიერ უარყოფითისაკენ. ეს აშკარად ჩანს გამოკითხულ დევნილ რესპონდნტთა ინტერვიუებიდანაც: „ოსი საერთოდ მაშინ არის კარგი, კეთილი, კეთილშობილი, როცა გასაქანი არ აქვს. ქართველებთან კარგად იყვნენ, იყვნენ სოციალისტურ პერიოდში, როცა არაფერი გასაყოფიარ ჰქონდათ. მაშინ კარგი მეზობლებიც იყვნენ, კარგი მეგობრებიც, ნათელ-მირონიც ჰქონდათ, ძმადნაფიცებიც იყვნენ, მაგრამ ეს ყველაფერი დოროებითი აღმოჩნდა. ოსები მოხეტიალე, მომთაბარე ხალხია, ყაჩალები, ქურდები, მათ უყვართ რომ რამემი გამოვიყენონ და როცა აღარ ჭირდებათ, გილალატებენ, ისე რომ ყველაფერს ხაზს გადაუსვამენ. მე ამაში დავრწმუნდი ბოლო პერიოდის ამბების მერეც. მე დედა ოსი მყავს, მაგრამ ცხინვალის ომის დროს, ისიც ისევე დაატყვევეს ოსებმა, როგორ სხვა ქართველები. თამარაშენიდან ყველა აიყვანეს 9-ში. თვითმხილველები ამბობენ, რომ, როდესაც როებიდან რუსის ჯარი შემოვიდა, ჩვენმა არმიამ უკან დაიხია და რუსები ტანკებით წამოვიდნენ ქართულ სოფლებზე. ტანკებს გვერდზე ქვეითი ჯარი მოჰყვებოდა, ისინი ქართველების სახლებში შერბოდნენ და ტყვიამფრქვევის ჯერით ცხრილავდნენ სახლებს, ტანკებიდან კი ქუჩის პირას მარჯვნივ და მარცხნივ ჩამნკრივებულ ქართველების სახლებს უმოწყალოდ ანგრევდნენ. რუსის ჯარმა რომ ჩაიარა, მეორე დღეს წამოვიდნენ ოსი ბორვიკები და ბანდფორმირებები, რომლებმაც სოფლებში დარჩენილი მოსახლეობა სახლებიდან გამოიყვანეს, მანქანებზე შეყარეს და ცხინვალში ჩაიყვანეს. დედაჩემს უცენია ერთერთი შეიარაღებული ოსი, ოსურად მიუმართავს, ქმარი ავად მყავს და იქნებ გამიშვაო, მაგრამ იმას დედაჩემისითვის ფეხებთან ავტომატის ჯერი გადაუტარებია, უშვერი სიტყვებით ულანძლია, შენ მოღალატე ხარ, ქართველების რძალი რომ ხარო. ეს ხალხი დაატყვევს, ციხის შენობაში ყავდათ შეყრილები, იმ დროს როცა გერგიევი კონცერტს ატარებდა, ქართველები, მის უკან კადრებში რომ ჩანს, სწორედ იმ შენობაში იმყოფებოდნენ. უკიდურესად დამამცირებლად ექცეოდნენ. სიბინძურები ამყოფებდნენ, ერთმა მოყვა, „გრეჩიხას“ პირდაპირ მინაზე გვიყრიდნენ, აქედან ჭამეთო“. „საერთოდ ოსებმა გულში იციან ჩადება ნებინას, სამაგიეროს გადახდაც; ისე ვერ მოისვენებს ოსი, რომ ჯავრი არ იყაროს. მაგათ სისხლის აღებაც იცოდნენ. მშიშრები არ არიან, მაგას ვერ დასწამება.

ჩვენ ყველა ვეჯავრებით, მიუხედავად ყელაფრისა. არადა ეგენი ძალიან მტაცებელი ერა. ერთ ქართველს მინა აჭამეს თურმე, მინა გინდათო? აგერაა და ჭამეო“. „ოსი კეთილია, თბილია, კარგია, მოსიყვარულეა, სანამ სჭირდები. როგორც ქართველს მრნამსს ვერ შეაცლევინებ, ისე მაგათ სიავეს ვერ მოაშლევინებ. მაგ სიავისთვის და რუსეთის შოვინიზმისთვის გამოიყენეს სწორედ რუსებმა. ჩვენ ქართველები ვართ მიმნდობი, მიმტკეცებელი და გვგონია, რომ სიკეთეს ოსი სიკეთით უპასუხებს და, საერთოდ დაინახავს, მაგრამ ეგრე არაა. მამაჩემი მოესწორ 1920-იანი წლების ამბებს, მერე ეს 90-იანი წლების ამბებიც ხომ უშუალოდ მასაც შეეხო, მთელი სისატიკე თხებისა თავისი თვალით ხახს, მაგრამ მასში არ იყო არა-ნაირი სიძულვილი ამ ერისადმი. ოსებში არ აქვს მნიშვნელობა ის გლეხია თუ ყაჩალი, პოლიტიკოსი თუ განათლებული, გლეხსაც ისევე იყენებდნენ ქართველების წინააღმდეგ, როგორც სხვა და-ნარჩენს“. „სამხუაროა, რომ ქართველებთან ურთიერთობამ ოსებს სიყვარული ვერ ასწავლა. გამოდის, რომ მაგათ სიყვარული არ იციან! მე ცოტა აგრესიულად გამომდის, მაგრამ რომ დამენახა მათი სიკეთე ან მადლიერება, ნამდგილად ვიტყოდი. ოსი გაიძვერაა, ქურდი. მახსოვს, მაშინ თამარაშებში ვიყავი, არ მახსოვს რომელი წელი იყო. ინგუშებთან რომ მოუვიდათ კონფლიქტი ის დრო იყო. ერთ დღეს გავიხედე და ვხედავ, რო დიდალი მანქანები წამოვიდნენ ჯავის მხრიდან და ცხინვალისკენ მიმავლებმა ჩვენ სოფლებზე გამოიარეს. ეს იყო ინგუშეთიდან მოპარული მანქანები, იქედან ამოღებული ნალაფარით დატყირთული. მერე ოსები თურმე იძახდენ, უყურე შენ ინგუშებს, ოჯახი არ იყო რომ მანქანა არ ყოლოდა და თანაც როგორ მდიდრულად ცხოვრობდნენ! ხოდა გაძარცვეს და ცხინვალში წამოილეს ყველაფერი. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ ყველა ოსი ეგეთი არ არის“.

ეთონგრაფიული მონაცემებით, ოსებმა ქართული იცოდნენ, მაგრამ შეენებულად ქართულად არ ლაპარაკობდნენ, ისიც იცოდნენ რომ მინა, რომელზედაც ცხოვრობდნენ, ქართული იყო, მაგრამ არც ამას აღიარებდნენ. ამის მაგალითად თუნდაც ე. ნ. სამხრეთ ოსეთის პირველ პრეზიდენტ ლუდვიგ ჩიბიროვთან დაკავშირებული ერთი მოარული ისტორია გამოიდგება: „როდესაც ერთ-ერთ მოღალაკებაზე ჩავიდნენ ჩვენები ცხინვალში, მოღალაკავებამდე თუ მას შემდეგ, შესთავაზეს ოსებმა ჩვენს დელეგაციას ცხინვალის ქუჩებში გასეირნება. სასაფლაოს რომ ჩაუარეს გვერდზე, ვერ მოითმინა ერთ-ერთმა ქართველმა გენერალმა და ასე უთხრა ლუდვიგის, თუ მანაზებთ 300 წლის წინანდელ ოსის საფლავს ცხინვალში, ან ამ ტერიტორიაზე ლუდვიგ კულტურულ ძეგლს, მე ავწევ ხელებს და ვიტყვი, რომ ეს ისტორიული ოსური მინააო. ლუდვიგის უპასუხია, მე პროფესიით ისტორიკოსი ვარ და შენზე უკეთ ვიცი, რომ ეს

მინა ქართველებისაა, მაგრამ... ჩრდილოეთისაკენ გაიშვირა ხელიო...” (რუსთავი—2. ფორუმი/ოსები).

ცხინვალიდან ლტოლვილი ქალბატონი იხსენებს: „სოფელ ქირნინაში ჩემ ქმარს ძმაკაცი ყავდა, ოჯახებით ვმეგობრობდით მის-ვლა-მოსვლა გვქონდა. მართლა პატივს ვცემდით, როგორც შეგვეძლო ერთმანეთს, იქ რომ ჩავიდოდით, აღარ იცოდნენ რითი ესი-ამოვნებინათ ჩვენთვის. მახსოვს, ერთხელ სტუმრად ვიყავით, მო-სავლის ალების პერიოდი იყო. როცა შრომას მორჩინენ, სახლში შევიკრიბეთ მათთან, მეზობლებსაც დაუძახეს. ერთი ბიძაშვილი ჰყავდა, მეზობლად ცხოვორობდა და ისიც იქ იყო. სუფრასთან რომ დავსხედით, იმან თქვა, აბა რა უნდა ვქნათ ახლა, როცა საქმეს მოვრჩითო, ამ მინა-წყლის სადლეგრძელო უნდა ვთქვათო. ვისიც ეს მინა იყო ჩვენ მოსვლამდე, იმათ გაუმარჯოსო. ჩვენ ვკითხეთ, ვისი იყო. თხები ხმას არ იღებდნენ, არ მოეწონათ ნათქვამი, არც პასუხის გაცემა უნდოდათ. მერე იმ კაცება, გვარები ჩამოიყალა მინის ყოფილი პატრიოტისა და ახლა აღარ მახსოვს, მაგრამ ყველა ქართული ვევრი იყო. ის კაცი მაინც ქართული ორიენტაციისა იყო და საერთოდ ამის გამო არ უყვარდათ თხებს. ავიწროვებდნენ, მერე მალე გარდაიცვალა“.

დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, როდესაც პრაქტიკულად შეუძლებელია ცხინვალის რეგიონში შესვლა და კვლევის ჩატარება, საკმაოდ ინფორმაციული აღმოჩნდა ქართულ ტელეარხებზე გაშვებული ანდრეი ნეკრასოვისა და ოლგა კონსკიას დოკუმენტური ფილმი „რუსულის გაკეთილები“, სადაც კარგად ჩანს სოციალური განწყობა სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი ისი და ქართველი მოსახლეობისა. ფილმი აქსებს იმ სიცარიელეს, რაც დღეს ქართველი სპეციალისტებისათვის ისთა ეთნიკური განწყობის შესწავლასთან დაკავშირებით არსებობს. ერთ-ერთ კადრში, სადაც უურნალისტი ის ქალმშვილებისგან ინტერვიუს იღებს, ქართველების მიმართ მკვეთრად გამოხატული ქსენოფონია ფიქ-სირდება. ისინი ქართველების თავს დამტყდარ უბედურებაზე ნიშნის მოგებით აცხადებენ, „ტაკ იმ ი ნადო“ და კატეგორიულად არ უშვებენ ქართველების ცხინვალში დაბრუნებას შესაძლებლობას. ეს ის თაობაა, რომელსაც ქართველების ვერდით არ უცხოვრია და რუსული ანტიქართული სულისკვეთებით აღიზარდა. მათთვის უცხოა ქართულ-ოსური ურთიერთობის ის ტრადიციები რაც, მათი წინაპრებისთვის ყოველდღიურობას წარმოადგენდა. მათში უკვე ჩამოყალიბებულია ქართველის უარყოფითი სტერეოტიპი, რაც საკმაოდ საშიშია ეთნოსთამორისი ურთიერთობის სტაბილიზაციის პერსპექტივისათვის. მაგრამ ფილმში ასევე კარგად ჩანს უფროსი თაობის ისთა ქართველებისადმი ლოიალური დამოკიდებულება. ფილმიდანვე თვალნათელია ქართველების თხების მიმართ

შედარებით ნაკლები აგრძესიულობაც. აქედანვე ჩანს, რომ დაზარალებული და დაზაგრულია ქართველი მოსახლეობა და არა ოსი.

ერთ-ერთი რესპონდენტიც აღნიშნავს: „ვერ ნახეთ, რას ამბობდა გაბოროტებული ცხინვალელი ოსის გოგო, „ტაკ იმ ი ნადოო“. აქ არ შემოვუშვებოთ ქართველებსო. ეს ის თაობაა, რომელმაც ქართველის გვერდით ყოფნა არ იცის რა არის, მათ ის ურთიერთობები, რაც ამაგრებდა ასე თუ ისე ქართულ-ოსურ კავშირებს, არ გამოუცდიათ, და სანამ ამ კავშირების მომსწრე თაობა ცოცხალია, მაშინ არის შესაძლებელი ჩვენი გეგმების განხორციელება, სხვანაირად კი აღდათ ვერაფერს გავხდებით“.

ეროვნული ხასიათის შესახებ მსჯელობისას სტერეოტიპის ეტალონად ქცევის შესაძლებლობაზე მიუთითებენ: „ეროვნული ხასიათი არსებობს, თუ მასში ჩვენ ვგულისხმობთ მოცემული კულტურისათვის სპეციფიურ ლირებულებებს, განწყობას და ქცევის ნორმებს. ეს სტერეოტიპები გვევლინება კულტურულ ფენომენად, რომელიც არსებით როლს თამაშობს საზოგადოებრივ ცნობიერებაში, ხალხთა თვითშეგნებაში. ადამიანები ნებით თუ უნებლიერ ეთნოკულტურულ სტერეოტიპებს აღიქვამენ როგორ ნიმუშს, რომელსაც უნდა მოერგო, რათა გახდე შენ ხალხისთვის შესაფერისი წარმომადგენელი. ამიტომ, სტერეოტიპული წარმოდგენები სინამდვილეში მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ადამიანებზე, ეროვნული ხასიათის თავისებურებებზე და სტიმულს აძლევენ მათში იმ თვისებების ჩამოყალიბებას, რაც სტერეოტიპში არის ასახული“ (კარმინი 2001: 148). დღეს სწორედაც რომ არსებობს ოსებში ქართველოფობის ეტალონად ქცევის საშიშროება, რაც კარგად ჩანს ზემოხსენებული ფილმიდანაც.

ფაქტორივად, იმ სასიკეთო ძვრებს, რაც ბოლო ხანს შეიმჩნეოდა ქართულ-ოსურ ურთიერთობებში 2008 წლის აგვისტოს ომმა, სრულიად საპირისპირ მიმართულება მისცა. გაიზარდა აგრძესიული განწყობა როგორც თხები, ასევე ქართველებში. პრატიკულად მოისპონ პირადი კონტაქტები, ქართველ დევნილ მოსახლეობაში იმატა უიმედობამ და ფრუსტრაციამ. საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული ქართული საზოგადოების სოციალური განწყობა კარგად ჩანს ინტერნეტ-ფორუმებში. მათი დამუშავების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ, განსხვავებით თხებისაგან, ქართველების მნიშვნელოვან ნაწილს, არ აქვს ძლიერ მტრული განწყობა თხების მიმართ. ისინი ყოფენ თხებს ულირსებად და ლირსეულებად, ანუ ერთ მხარეზე დგას ის, ვინც ქართველებს სასტიკად ეცყრობოდა და მეორეზე ის, ვინც ამაში მონაწილეობას არ იღებდა. საზოგადოების ერთი ნაწილი თხების მიმართ საკმაოდ აგრძესიულადა განწყობილი, განსაკუთრებით აგვისტოს მოვლენების შემდეგ ანუ (ოსებისა და რუსების ტანდემის), მათვის დაუვიწყარია

1990-იან წლებში განვითარებული მოვლენების დროს ოსთა განსაკუთრებული სისასტიკე ქართველების მიმართ, ადამიანების ცოცხლად დაწვა, ჩეილი ბავშვის მოკვლა, ქალების გაუპატიურება და მისთანანი. ისინი მომხრენი არიან საკმაოდ რადიკალური ზომების მიღებისა სახების მიმართ. მეორე ნაწილი უფრო ზომიერია, მათ იციან სახების სიავის შესახებ, მაგრამ ქართულ-ოსური ურთიერთობის საუკეთესო პერიოდებიც ახსოვთ და ეს არის პრიორიტეტული მათთვის: „ქართველების სახები მასობრივად არასოდეს შეუძლებიათ, თვით იმ ავტენით 90-იანი წლების გარიურაუზეც კი. უბრალოდ, რაც შარშან მოხდა, აი ძალიან, ძალიან ამაზრზენი იყო მათი მხრიდან (ცხინვალულ ოსებს ვგულისხმობ) და ამაში, რომ იტყვიან, დედანულიანად მონანილეობდნენ... ეს საშილოშვილო ცოდვა და სირცხვილია ოსი ხალხის, რაც მათ რუსის დაცყრობილ ქართულ სოფლებში გააკეთეს. ამაზე ქართველობა გამნარებული. რაღა თქმა უნდა, იმ ნაძირების გარდა, უამრავი ლირსეული ოსი არსებობს!!!“

ან კიდევ: „საბოლოო ჯამში ცხინვალის რეჟიმის მხარდამჭერი ოსები ნორმალურ ადამიანში დადგებით ემოციას ვერანაირად ვერ აღძრავენ. ეს სამწუხარო რეალობაა. რაღა თქმა უნდა, დამნაშავე ორივე მხარეა, განსაკუთრებით სანყის ეტაპზე, მაგრამ ფაქტი ჯუტია, კრემლის მიერ ინსპირირებულ პროვოკაციას რომ არ აპყოლოდნენ (შეგნებულად არ ვამხობ წამოგებოდნენ) ოსები და საქართველოსთან ერთად დამოუკიდებლობას, საბჭოთა კავშირში დარჩენით არ დაპირისპირებოდნენ, არაფერი მოხდებოდა ჩვენს შორის. სანამ ყველა ოსი ამას არ აღიარებს ან არ გაითვალისწინებს, არაფერი გამოვა. რაც მოხდა, მოხდა, მაგრამ ოსებმა (არა ყველამ, მაგრამ უმრავლესობამ კონფლიქტურ რეგიონში) უპატიებელი შეცდომა სააკაშვილის მოსკვლის შემდეგ დაუშვეს. ზოგმა ვერ გათვალა, ზოგმაც შურისძიების შიშით და ზოგიც ვერ გაუმტევდა ძლიერ რუსულ და ქიქოითის რეჟიმის წნებს და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. ყოფილი სამხრეთ ოსეთის საქართველოში მშედობიანი რეინტეგრაციის შემთხვევაში, რომელიც პირველ რიგში უნდა მომხდარიყო ოსი ხალხისვე ინიციატივით, სამხრეთელი ოსები, არ ვაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ მთელი ისტორიის მანძილზე, საუკეთესო განვითარებას მიაღწეოდნენ. საქართველოც ძლიერი იქნებოდა და ოსებიც საუკეთესო პირობებში იცხოვერებდნენ და არა ისე, როგორც ახლა, როცა სამარცხვინო ვითარებაში არიან (რუსთავი-2 ფორუმ/ოსები).

„ცხინვალებებმა რაც გააკეთეს ეს მართლა საშვილიშვილო ცოდვა, აუცილებლად მოსჭრით ამათ შვილებს კბილებს მათი პაპების ნაჭამი ტყემალი, ალბათ მეც ვერ მომიბრუნდება მათზე გული, ალბათ ვიქნები მომხრე მათი დედანულიანად გასახლების

ცხინვალის რეგიონიდან მაგრამ.. მთელ ერს ვერ შევაგინებ, იმიტომ რომ ვერ შევაგინებ, ვერც ჩემს ნათესავებს, ვერც ბავშვობის მეგობრებს...“

როგორ აფასებენ სიტუაციას და რა გამოსავალს ხედავენ თავად დევნილი ქართველები? „ოსი მაშინ არის კეთილშობილი, როცა გასაქანი არ აქვს. ეხლა რუსი უდგას გვერდში, იმის იმედი აქვს. მე მაგალითად პროგნოზს ვერ ვაკეთებ, ასე თუ გაგრძელდა არაფერი არ გვეშველება. რუსი უნდა წავიდეს. აი, რუსის იმედი რომ აღარ ექნებათ, მერე ისევ ჩამენდენ ხმას. ვინც ნასასვლელი იყო, იმან რუსეთს შეაფარა თავი და კარგადაც მოეწყო, ნანილიც წავა, ვინც დარჩება, ისინი როგორც მანამდე იყვნენ, ისევე დაუბრუნდებიან თავიანთ კალაპოტს. მაგრამ ეს ამბები დროში არ უნდა გაინელოს, თაობები შეიცვალა“ (მ. თამარაშენიდან). ასეა ეს თეორიულად დევნილი მოსახლეობისათვის, მათვის, ვისაც კარგად აქვს გაცნობიერებული რუსეთის როლი მთელ მათ უბედურებაში. მაგრამ პრაქტიკულად ამის განხორციელების გზებს ვერ ხედავენ. მით უფრო, რომ მათთან აღწევს მეტად სამწუხარო ინფორმაცია მეორე მხრიდან: „ეხლა ხომ იქ ვეღარავინ ვეღარ შედას. ათასნაირი ხმები გამოდის. ამასწინათ ქართველების რძალია ერთი ოსი და ის შიდი-მოდის ორჯონიერები ხოლმე, იმას გამოუვლია თურმე აჩაბეთ-ქურთაზე. სულ დანგრეულია ყველაფერით, ოსები, თურმე, ახალ კოტეჯებს აშენებენ, ბალ-ბოსტნები კი სულ დასაკუთრებული აქვთ, არ ვიცი, ალბათ, ოსებსაც და რუსებსაც: თურმე აწერია რუსულად «ვაჟა». (ჭულუხაძე.)

კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ რუსული მედიის საშუალებით ვრცელდება ნაკლებად იმედისმომცემი ინფორმაცია, რომ სოფ. ქურთას ადგილზე რუსები რესპუბლიკაში პირველი აეროპორტის აშენებას გაგმავენ. თამარაშენის ადგილას მოსკოვის მერიის დაფინანსებით მიერორაონ „მასკოვსკის“ აეტიური მშენებლობა მიმდინარეობს და დასრულებას არაფერი უკილა. აქ სავარაუდო 180 კოტეჯი 8 მრავალსართულიანი კორპუსი და სამხრეთ ოსეთში ყველაზე დიდი — 600 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა აშენდება. თამარაშენში, „მასკოვსკი“ რაონის შესასვლელთან გახსნილია სამწვადე „პადმასკოვი“ და მისთანანი.

ყველაფერი ეს, ბუნებრივია, ქართველების სოციალურ განწყობაზე დიდ გავლენას ახდენს, მაგრამ იმის გაცნობიერება, რომ მათი და ოსი ხალხის ურთიერთობის გაფუჭებაში რუსების უდიდესი წვლილი დევს, რომ ირვე მსხვერპლია, რომ ოსებსა და ქართველებს ნორმალური ურთიერთობის ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდათ, მომავალში სტაბილური ურთიერთობის პერსპექტივას სახავს.

ურთიერთობის ნორმალიზების შანსი კი იარსებებს მანამ, სა-

ნამ ჯერ კიდევ არსებობს ის თაობა, ვისაც გავლილი აქვს ინტერ-  
კულტურული ურთიერთობის ნაყოფიერი გაკვეთილები, ვის მეხსი-  
ერებაშიც ეთნოსთა მორისი ურთიერთობის საუკეთესო ტრადიცი-  
ები ჯერ კიდევ ცოცხალია.

## დამონძებული ლიტერატურა

არონსონ 1999 — Аронсон Э. Общественное животное, М.,  
Аспект пресс, 1999.

ბლუაშვილი 2005 — ბლუაშვილი ქართულ-ოსური კონფლიქტი:  
ვინ და რატომ დაიწყო იგი? თბ., 2005.

<http://presa.ge/index.php?text=news&i=7489> 05.05.2009

გამცემლიძე — გამცემლიძე დ. ოსური ფაქტორი

<http://www.experti.ge/kartuli15.htm>

გამცემლიძე — გამცემლიძე დ. საინფორმაციო ომი

<http://www.experti.ge/kartuli23.htm>

თოფჩიძე 2005 — თოფჩიძე რ. ეთნოსტორიული ეტი-  
უდები, წიგნი I, თბ. 2005.

თოონიშვილი 1995 — თოონიშვილი ვ. ქართულ-ოსურ ურთიერ-  
თობათა ისტორიიდან, თბ., 1995.

კარმინი 2001 — Кармин С. Культурология. изд. "Лань", Санкт-  
Петербург 2001.

რახვაშვილი — რეხვაშვილი ჯ. რა მოხდა ქართველებსა და  
ოსებს შორის გასული საუკუნის 20-იან ნლებში?

<http://www.tavisupleba.org/content/article/1549318.html>

სამხრეთ ოსეთი 1991 — სამხრეთ ოსეთის ოლქის სტატუსის  
შემსწავლელი კომისიის დასკვნა. საზოგადოება „ცოდნა“, თბ.,  
1991.

სანადირაძე 2009 — სანადირაძე გ. საქართველოს დესუვერე-  
ნიზაცია — ეთნონენტერესთა კონფლიქტის შედეგი (ნერილი მეორე).  
<http://presa.ge/index.php?text=news&i=7489> 05.05.2009.

სონღულაშვილი 2009 — სონღულაშვილი ა. „სამხრეთ ოსეთი“  
საქართველოში?, თბ., 2009.

სოციოლოგია 2003 — Социология, Энциклопедия. сост / Сост.  
А.А. Грицанов, В.Л. Абушенко.

ტყავაშვილი 2008 — ტყავაშვილი მ. ოსების 1810—1811 წლების  
აჯანყება ლეონ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით. — ახალი და  
უახლესი ისტორიის საკითხები. თბ. 2008

ჭიჭინაძე 1916 — ჭიჭინაძე ზ. ოსების ჩამოსახლება ქართლში, ტფ.,  
1916. <http://www.nplg.gov.ge/frames.php?url=/dlibrary/coll/0001/00016>

ნინი ჭუმბურიძე 2003 — ჭუმბურიძე დ. ქართველი ხალხის ეროვ-  
ნულ-გამათავისუფლებელი ბოძოლა XX ს-აუკუნის დასაწყისში.  
1918-1921 წლები. თბ., 2003.

Натиა Джалаბაძე

## ЭТНОПСИХОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ГРУЗИНО-ОСЕТИНСКИХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ

Важнейшая роль в исследовании современных грузино-осетинских взаимоотношений отводится изучению их этнопсихологических аспектов, что в значительной мере опирается на исследование этнических стереотипов.

Одна из решающих ролей в процессе стереотипизации отводится этническим настроениям, веками сформировавшимся вследствие межэтнических отношений. Эти настроения оседают в сознании индивида и группы, в значительной мере определяя характер и динамику интерэтнических отношений.

Формирование этнических стереотипов грузин и осетин протекало на основе их многосторонней коммуникации. В разные периоды истории грузино-осетинские отношения бывали и дружественными, и враждебными. Исторический опыт противостояния и добрососедства этих народов проявляется в амбивалентном характере их стереотипов, иначе говоря, в них отразилась как положительная, так и отрицательная этническая установка. Если, с одной стороны, положительные стереотипы создавали благоприятную почву для позитивных взаимоотношений между грузинами и осетинами, то, с другой стороны, в результате целенаправленного акцентирования отрицательных стереотипов межэтнические отношения становились жертвой манипуляций определенных политических сил.

История грузино-осетинских отношений периода после покорения Россией народов Кавказа отчетливо выявляет значительную роль российской политики в процессе формирования отрицательных настроений между этими народами. Ситуация на Кавказе наиболее обострилась с 90-х годов прошлого столетия и непосредственно затронула проблему государственной безопасности Грузии.

С психологической точки зрения, русские, прикрываясь «гуманными» устремлениями, постепенно занимали место между грузинами и осетинами, что, кроме практических мероприятий (внедрение русского языка, улучшение транспортной инфраструктуры с Россией,

выдвижение в быту на передний план преемственной роли России и т. д.), протекало на фоне информационной войны с Россией.

Несмотря на грузино-осетинское вооруженное противостояние, имевшее место в 90-х годах XX века, и на его тяжелые последствия (этническая чистка, беженство, миграции), корни традиционных отношений оказались все-таки довольно крепки для того, чтобы между грузинами и осетинами сохранились личные контакты и чтобы наметилась тенденция к их примирению. Этому способствовало и то обстоятельство, что грузинское население все еще оставалось на местах, в своих деревнях, и на него возлагалась роль медиатора во всестороннем урегулировании грузино-осетинских отношений, и в первую очередь в психологическом аспекте.

Августовская война 2008 года направила грузино-осетинские взаимоотношения в совершенно противоположное русло. В бежавшем из Цхинвали грузинском населении заметно изменился настрой к осетинам - от умеренно отрицательного к сильно отрицательному. У обеих сторон возросла агрессия. Практически исчезли личные контакты. У грузинских беженцев обострились настроения безнадежности и фрустрации. Однако, надежда на нормализацию этих отношений в будущем по-прежнему существует и будет существовать до тех пор, пока живо то поколение, которое помнит уроки интеркультурных контактов этих двух народов и которому хорошо знакомы лучшие традиции межэтнических взаимоотношений.

# ლავრენტი ჯანიაშვილი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასია მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ რთულ რეგიონში „პერსეტროიკამ“ და მის ფონზე მომხდარმა კატაკლიზმებმა ხანგრძლივი კონფლიქტების პროვოკირება გამოიწვია. რეგიონში მუდმივი დაბატულობის კერძებით გამორჩეულია ჩრდილო კავკასია, სადაც XX საუკუნის 90-ინი წლებიდან მოყოლებული პერმანენტული არეულობაა. მდგომარეობა ვერ განმუხტა რუსეთის ცენტრალური აპარატის გაძლიერებულმა ყურადღებამ, აյ ჩატარებულმა რამდენიმე სამხედრო კამპანიამ და დიდადი თანხების ხარჯვამ. თავის დღოზე რუსეთმა ჩანრეთმი უზარმაზარი სამხედრო ძალისა და ფინანსების კონცენტრაცია მოახდინა, მავრამ ნინაალმდევობა ვერ ჩაახშო, ამბოხებულები ტყეებში გაიხიზნენ, ხოლო კონფლიქტი უბრალოდ „კამერებს“ მოაძორეს და კვლავ გრძელდება. დაბატული მდგომარეობაა ჩრდილო კავკასიის სხვა ადგილებშიც. გახშირებული აფეთქებები, თავდასხმები ძალოვანი სტრუქტურების ნარმომადებრებზე და ა. შ. მიუთითობს, რომ კონფლიქტი მოგვარებისაგან ჯერ კიდევ შორს არის. სიტუაცია სულ უფრო უმართავი ხდება, რაც ახალი საფრთხეების პოტენციურ მატარებლად შეიძლება ჩაითვალოს.

ექსპერტები შექმნილ ვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს რეიისლამიზაციის შედეგად ჩამოყალიბებულ რელიგიურ გარემოს ანიჭებენ. კავკასიის მუსლიმური თემების რელიგიაში ყოველთვის ძლიერი ზეგავლენა ჰქონდა ტრადიციულ წეს-ჩეულებებს, რაც განაპირობებდა განსხვავებას ე. წ. ხალხურსა და ოფიციალურ ისლამს შორის. საბჭოთა პერიოდში ჩრდილო კავკასიელები ორთოდოქსალური ისლამის დოგმებს კიდევ უფრო დაშორდნენ. კომუნისტურ რეჟიმს საიმედოდ ჰქონდა ჩაკეტილი საზღვრები, რაც ქვეყანას ისლამური სამყაროდან წამოსული რელიგიური იმპულსებისაგან იცავდა. მართველობის სისტემა კი საფუძველშივე სპობული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყოველგვარ ალტერნატივას. ათეიისტური სახელმწიფოს ნერევამ მოსახლეობის რელიგიურობის ზრდა და რეიისლამიზაციის პროცესის გააქტიურება გამოიწვია.

ллебди, ошебди с ერთი ნაწილი, ნოღაელები, ბალყარელები, ჩრდილოვაკასიელი თურქმენები, ყუმუხების ნაწილი, ჩერქეზები, ხუნძები, ლეზგები, ლაკები, დარგულები, თაბასარანელები, ნახურები, ვაიხახები (ჩეჩენები და ინგუშები) სუნიტური მიმართულების ხანიფიტური მაზაპის აღმსარებელი ხალხები არიან; დაღესტნელების მცირე ნაწილი (ლეზგები სოფელ მისკინჯში) — შიიზმის (ჯაფარიტული მაზაპის), ხოლო ყუმუხების მნიშვნელოვნი ნაწილი შაფიტური მაზაპის სუნიზმის მიმდევრები არიან.

მკლევარები თანამედროვე ჩრდილო კავკასიის მუსლიმებში გამოიყოფენ სამ ძირითად ჯგუფს: ა) ტრადიციონალისტები — სადაც შედიან სუნიტები, შიიტები და სუფიზმის მიმდევრები. ამ ჯგუფის ნარმომადგენლები აუცილებლობად მიიჩნევენ ტრადიციული რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების უცვლელად შენარჩუნებას; ბ) მოდერნისტები (რეფორმატორები) — ესაა შედარებით მცირერიცხოვანი (უფრო ინტელიგენტები) ჯგუფი, რომელიც გამოდის ისლამის კულტის, ეთიკისა და დოგმათა მსოფლიოს სამეცნიერო-ტექნიკურ და სოციალურ პროგრესთან შესაბამისობაში მოყვანის იდეებით; გ) ფუნდამენტალისტები, რომელთა რადიკალურ ფრთას ნარმომადგენენ სალაფიტური მიმდინარეობის ე. წ. ვაპაბიზმის ნარმომადგენლები (ხანბაბევი).

ისლამის აღორძინების (გასული საუკუნის ბოლოს) პერიოდში ჩრდილო კავკასიაში გამოცოცხლდნენ სუფისტური საძმოები (თარიქატები). ჩეჩენეთის ომებმა, პოლიტიკურმა და სოციალ-ეკონომიკურმა არასტაბილურობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა „ნმინდა ისლამის“ ანუ როგორც მას უწოდებენ, „ვაპაბიტური“ მიმდინარეობის ინფილტრაციისათვის.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ვაპაბიზმის გავრცელების მატერიალური და ცოცხალი რესურსებით მხარს უჭერს მუსულმანური აღმოსავლეთი. საუდის არაბეთის, კუვეიტის და მუსლიმური სამყაროს სხვა ვაპაბიტური ცენტრებიდან მიმდინარეობდა ფულადი სახსრებისა და ემისრების უკონტროლო ექსანსია. ყ. ხანბაბევის ცნობის თანახმად უკვე 90-იანი წლებისათვის ამის შესახებ ცნობები გააჩნდა რუსულ სპეცსახურები:

„Свидетельство тому - секретное донесение службы контрразведки Российской Федерации, датированное ноябрем 1992 года: «Большую часть эмиссаров, финансируемых Исламской партией возрождения, составляют приверженцы ваххабитского толка ислама. В этом плане выделяются гражданин ОАЭ Сервах Абед Саах, организовавший в Кизилюртовском и Хасавюртовском районах издание, пропагандирующее ваххабизм, а также руководитель филиала Международной исламской организации «Спасение» (МИОС) на Северном

Кавказе и в Азербайджане гражданин Алжира Зарат Абдель Кадир»" (ხანბაბევი)

ზემოხსენებულის მიუხედავად, სალაფიზმის გავრცელებას ჩრდილო კავკასიაში პირველ ხანებში კრემლიც უწყობდა ხელს. სავარაუდოდ, მოსკოვს მიაჩნდა, რომ ვაპაბიზმი, როგორც ზეეთნიკური და ტრადიციული ლირებულებების ნინააღმდეგ მიმართული რელიგია, ხელს შეუწყობდა ჩრდილო კავკასიელ ხალხებში ეთნიკური იდენტობის რღვევას და სეპარატისტულ პროცესებს შეასუსტებდა. ამის გამო, ვაპაბიზმი თავდაპირველად არაესტერემისტულ მიმდინარეობად მიიჩნიეს. ნიშანდობლუკია, რომ 90-იან წლებში დაღესტანში რამდენიმე სოფელში „ისლამური რესპუბლიკა“ გამოაცხადა. მათ ადგილობრივი ხელისუფლება დაუპირისპირდა, ხოლო საქმის გასარკვევად ჩასულმა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ს. სტეპაშინმა ისლამისტთა მოთხოვნა სამართლიანად სცნო. მან დაღესტანის ხელისუფლება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გააფრთხილა „არ შეებლალათ ისლამისტთა რელიგიური გრძნობები“ (აკაევი 1999: 105). უფრო მეტიც, 1998 წლის 22 ივნისს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობაში გამართულ სხდომაზე, რომელმაც მონაწილეობდნენ მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი, ნაციონალობათა მინისტრი, ფსბ-ს დირექტორი და სხვა მაღალჩინოსნები, გადწყდა, რომ ვაპაბიზმი არ ჩაეთვალათ ექსტრემისტულ მიმდინარეობად (აკაევი 1999: 104).

რუსეთი ვაპაბიზმის და ტერორიზმის თემებით მომგებანად სპეცულიორებდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე ზენოლისათვის (მაგალითად ვანკისის ხეობაში ვაპაბიტების შესაძლო ყოფნას იყენებდნენ საქართველოს სანინააღმდეგოდ). 2000 წლიდან მოყოლებული რუსული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებდნენ ცნობებს პანკისის ხეობაში ჩეჩენი ვაპაბისტების//ტერორისტების მრავალრიცხოვანი ჯგუფების ყოფნის შესახებ და ამ საბაბით საქართველოში თავიანთი სამხედრო პოლიტიკური გაულენის გაძლიერებას ცდილობდნენ (მელიქიშვილი 2002: 129).

ისლამის შერყვნა, ყურანისა და სუნნისეული ნორმებისაგან ყოველგვარი გადახვევა, თავიდანვე უდიდეს ბოროტებად იყო აღმული, ამ საბაბით, ისლამურ ფუნდამენტალიზმს საშუალება მიეცა, „ნმინდა ისლამის“ დამკავიდრებისათვის ფართომასშტაბიანი მისიონერული შემოტევა დაეწყო პოსტსაბჭოური სივრცის მუსულმანურ რეგიონებში და, მათ შორის, კავკასიაშიც. გასული საუკუნის 90-იან წლებში რეისლამიზაცია აქ სწორედ ფუნდამენტალური და პოლიტიკური მიმართულებების ისლამისტური ჯგუფების გაქტიურების ფონზე ნარიმართა. „ნმინდა ისლამის“ აღორძინების კონცეფცია უარყოფს ადგილობრივ ნეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს. იგი ყურანისა და სუნნის უნივერსალიზაციით ცდილობს,

ყველა მუსლიმი ერთ თემში გააერთიანოს (ჯუკაშვილი 2000). ტრადიციული და ახალი მიმდინარეობის კონკურენციის ნიადაგზე ნარმოშობილ ნინააღმდეგობებს შუა აზიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში მრავალი სისხლის მძღვრელი შეტაკება მოჰყვა.

მუსულმანური აღმსარებლობა ჩრდილო კავკასიაში იქცა ერთის მხრივ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მაკონსოლიდირებელ ფაქტორად და მუსულმანური ქვეყნებიდან მიღებული დახმარების გარანტიად, მეორე მხრივ, ნეოისლამისტური და ტრადიციული მიმდინარეობების მომხრეთა შორის ძლიერი განხევილების მიზეზად. კავკასიის ცალკეულ თემებში დაიწყო ისლამის გამაღებული პოლიტიზაცია. პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის სამსახურში ჩამდგარმა რელიგიამ საშუალება მისცა კავკასიის დაინტერესებული რუსეთისა თუ სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებს აქტიურად ჩაერეულიყვნენ მოვლენათა მსვლელობაში. ამის გამო, შეუძლებელი გახდა ცალკეული დაპირისპირებების შიდა რესურსებით გადაჭრა.

მსოფლიში მრავლად გვხვდება სოციალური თუ პოლიტიკური მოძრაობებისათვის ისლამური ფორმის მიცემის ფაქტები, რაც დასაბამს შუა საუკუნეებიდან იღებს. ისლამის გავრცელების პირველი ხანებიდან მოყოლებული რელიგიის მიხედვით ჩამოყალიბებული ქცევის წესები მკაცრ ჩარჩოებში აქცევდა მორნმუნეთა ცხოვრებას. შარიათი აკონტროლებდა ყოფისა და ცხოვრების ყველა მხარეს (ქერიმოვი 1978: 4; სიუკიანენი 1986: 159—182). მოგვიანებით, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სრულყოფამ და სხვა ხალხებთან ურთიერთობამ აუცილებელი გახადა მუსულმანთა ყოფაში, და შესაბამისად რელიგიაში, ახალი ელემენტების შემოტანა. გაჩნდა „ბიდა“ — სიახლეები, რაც დროის მოთხოვნილებებთან ისლამის მორგების ცდას წარმოადგენდა. „ბიდა“ ცალკეული თეოლოგების მცდელობით კანონიკურ წიგნებშიც კი შეიტანეს. ასეთი ტრანსფორმაცია მოუღებელი აღმოჩნდა ორთოდიქტალური ისლამისათვის, რადგან რელიგიურ წორმათა ყოველგავრი ცვლილება ნარმოუდგენელ მერხელობად ითვლებოდა. კანონიკური დოგმების სრულყოფილად დაცვის მიზნით მეათე საუკუნეში შეიქმნა „პადსები“ და „სუნნა“, სადაც მუშამედისდროინდელი ცხოვრების წორმები იყო მოცემული (ჯუკაშვილი 2000; ვასილევი 1982: 63—86; გრიუნებაუმი 1988: 93—106).

ისლამის განწმენდისათვის მოძრაობა XX საუკუნეში ისლამური რადიკალიზმის ყველაზე გავრცელებულ ფორმად — სალაფიზმად იქცა. სალაფიზმი ფუნდამენტალისტური მიმდინარეობაა, რომელიც მუსლიმებს მოუწოდებს ორიენტაცია აიღონ ნინასარმეტყველ მუშამედზე, მის თანამოაზრებსა და წმინდა ნინაპრებზე არაბულად — აღ-სალაფ ას სალიხ ან, უბრალოდ, აღ-სალაფ ე. ი.

ნინაპრები). სალაფიტური დოქტრინა გამოირჩევა რაციონალიზმითა და მისაწვდომობით, გამარინა საკმაოდ მარტივი ლოგიკა. სალაფიტები ახდენენ ყურანისა და სუნნის დებულებათა პირდაპირ დეკლარაციას (თუმცა, ხშირად ძალზე თავისებურ რეკონსტრუქციას მიმართავენ და ხელახლა იგონებენ წმინდა ისლამის მოდელს). შეიხი მუშამედ მუხტარის დაკვირვებით, „სალაფიტი — ვაჲპაბიტები გვერდს უკლიან თვით ყურანის შინაარსიდან მიღებულ დასკვენებსაც კი, თუ ისინი მათ დებულებებს ეწინაღმდეგებინ“. სსენებულის მიუხედავად, სალაფიზმის უბრალოებამ სუფიზმის ელიტარულობის ფონზე მისი პოპულარობა გაზარდა. სალაფიტური ცხოვრების წესი შემდეგ პრინციპებს ემყარება:

1. ნინაპრების კულტის უარყოფას — მიუღებლად ითვლება წინაპრების, შეიხების და თვით მუშამედის თაყვანისცემა (მიიჩნევა, რომ პიროვნების განდიდება ერთმერთიანობის უარყოფაა).

2. „ჯიპადს“ — სალაფიტები ამტკიცებენ, რომ ჯიპადი ისლამის საფუძველია, მისი სული, რომლის გარეშეც იგი უსულო სხეულს დაემსგასესბა. ჯიპადის მიზანია, მთელ დედამინაზე ისლამის გავრცელება (ამ გზაზე იარაღის გამოყენებასაც არ გამორიცხავენ). ამრიგად, ისინი რადიკალურად განსხვავდებიან, მაგალითად, სუფიზმის ნარმომადგენელთაგან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ჯიპადი არის ადამიანის სულიერი სრულყოფა.

3. საერო ხელისუფლებასთან ბრძოლას — არალეგიტიმურად აცხადებენ საერო ხელისუფლებას, რადგან იგი დემოკრატიული პრინციპებით მართავს ხალხს და არა ალაპის მიერ დაწესებული წორმებით (მას ურნმუნობად (კაფირი) მიიჩნევენ). ე. ნ. „ჯიპადი“ ხელისუფლების წინააღმდეგაც არის მიმართული.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სალაფიტები გეგმავენ შარიათული სახელმწიფოს მშენებლობას. დიდი ყურადღება ექცევა გარეგნულ ატრიბუტებს (გაუბარსავი წვერი მამაკაცებზე და ჰიჯაბი ან ნიქაბი ქალებზე).

როგორც ითქვა, სალაფიზმი ანუ „წმინდა ისლამი“ ადგილობრივ მუსლიმ ღვთისმსახურებთან და „ხალხურ ისლამთან“ ოპოზიციით ხასიათდება. სალაფიზმის მიმდევრები უარყოფენ „ბიდას“ ანუ ისლამში შესულ ყოველგვარ სიახლეს, რომელიც სანქციონირებული არაა ყურანითა და სუნნით. განსაკუთრებით ებრძვიან იმ ჩვეულებებს, რომლებიც კავკასიური ადათის მიხედვით მუსლიმთა ყოფის განუყოფელ ნაწილადა მიჩნეული (მაგალითად, წმინდანების კულტი, ხალხმრავალი ქორწილებისა და დაკრძალვების გამართავა და ა. შ.).

ე. ნ. „ვაპაბისტური“ თემი ეგალიტარიზმის პრინციპითა ამონყობილი. ისინი მწვავედ აკრიტიკებდნენ არსებულ სოციალურ წესრიგს, რამაც სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლთა

имижжи შეუქმნა და რეფორმებისაგან დაზარალებული მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის, მხარდაჭერით უზრუნველყოფით ცხოვრობენ მცირერიცხოვნ, შეკრულ თემებად (ჯამაათებად). მათი რიცხობრივი სიმცირე წევრთა აქტიურობით კონცესირდება, რაც რელიგური ყოფის გარეთაც ვლინდება. ვაპაბიტური ჯამაათის წევრთა უმრავლესობა ეკანონმიერად აქტიური ახალგაზრდა, რომელთაც იციან და უყვართ მუშაობა. ვაპაბიტური თემი ფაქტიურად კარგად ორგანიზებულ საძმოს ნარმადებენს (ისინი ერთმანეთთან მიმართავისას იყენებენ ტერმინს „მამა“). ახლად მიღებულ წევრს ყველანი ყურადღებითა და მზრუნველად ეპყრობიან. ყოველგავრი პრობლემა ერთობლივი ძალებით წყდება (ა. იარლიკაპოვი). გაძნელებულია ამ რელიგიური თემის დატოვება, როგორც ა. იარლიკაპოვი აღნიშნავს, შეუძლებელია ვაპაბიტების თემის დატოვება იმ შემთხვევაში თუ მათი იდეოლოგია აღარ მოგწონს, ან მათ ქმედებებს არ ეთანხმები. როგორც კი ამის სურვილს გამოთქვამს ვინმე, მაშინვე შეიკრიბება თემი. შეკრება იმას კი არ ეძღვნება მისცეს თუ არა თემიდან ნასვლის უფლება პიროვნებას, არამედ, როგორ დაბარუნოს იგი ჭეშმარიტ რჩმენაში. ამ მიზნით შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის ოჯახის წევრებზე მუქარაც. მიიჩნევენ, რომ თემიდან გასვლა ნიშნავს მუსლიმობაზე უარის თქმას, რაც სიკეთილით ისჯება. „უძლები ძმის „ჭეშმარიტ“ რელიგიში დაბრუნება კი უმაღლეს სიკეთედ განიხილება (იარლიკაპოვი).

ვაპაბიტებს საერთოდ ახასიათებთ საზოგადოების დაყოფა „ჩვენიანებად“ და „მათებად“. ამგვარი დაპირისპირება უფრო მკაფიო მუსლიმურ გარემოში, მიაჩნიათ, რომ თავად არიან „ჭეშმარიტი“ მუსლიმები, ხოლო ყველა, ვინც მათ მოძღვრებას არ იზიარებს, თუნდაც სრულიად ორთოდქალურ თვალსზრისზე იდგეს, არამუსლიმია.

ა. იარლიკაპოვს ამ თვალსზრისის განმარტებისათვის მოაქსიანებულ მაგალითი "В апреле 2000 г. я в селе Первомайское Малокараачаевского района Карачаево-Черкесской республики встретился с одним из заметных ваххабитских деятелей по имени Умар-Али. В то время в республике уже начались мероприятия ФСБ и МВД против ваххабитов и, возможно, это также сказалось на том, что мой собеседник был довольно агрессивен. Тогда я еще был ответственным секретарем журнала «Мусульмане», который на своих страницах публиковал материалы вполне ортодоксального содержания. Своё мнение о журнале Умар-Али высказал кратко: «Бумага хорошая, а остальное не очень». Меня поразило то, что он слово в слово повторил ту оценку, которую за две-три недели до этого дал журналу на своем сайте издательский дом «Бадр», известный своей ваххабитской

направленностью. В ответ на мою просьбу привести конкретные претензии, сделать этого мой собеседник не смог, сказав лишь, что журнал занял «удобную» позицию. В переводе с дипломатического языка это означало, что в редакции журнала работают лицемеры (мунафик). Именно это обвинение часто раздается со стороны ваххабитов в отношении других мусульман наряду с обвинением в многобожии (ширк)" (იარლიკაპოვი)

გასული საუკუნის 90-იან წლებში კავკასიაში მომდლავრებული „ვაპაბიზმის“ მიმდევრები დიდ ყურადღებას ანიჭებდნენ ყოფითი ურთიერთობების მაპმადიანური დოგმატიკის მოთხოვნილებებთან სრულ შესაბამისობას. ამ ნორმებიდან მცირედენი გადახვევა არა მარტო საზოგადოებრივი განსჯის საგანი ხდებოდა, არამედ შარიათული სასამართლოს მკაცრი განაჩენის საფუძველიც. მიმდინარეობდა ადათობრივი ნორმების ჩანაცვლება შარიათით. მაშინაც კი, როდესაც პიროვნება არ გამოირჩეოდა ღრმა რელიგიურობით, იძულებული იყო, დამორჩილებოდა შარიათის სასამართლოს.

კავკასიაში ვაპაბისტების პოპულარობას ამცირებდა სალაფიზმის ზენაციონალური ხასიათი (ეროვნული პრობლემის გააქტიურების ფონზე) და მათ მიერ ისლამის ადგილობრივი სპეციფიკის (სუფიზმის) და მოსახლეობის ტრადიციული წეს-ჩვეულებების იგნორირება.

გასული საუკუნის 90-იან წლებში გააქტიურდნენ ტრადიციული, ადგილობრივი, ისლამური ინსტიტუტებიც. იატაკევეშეთიდან გამოვიდნენ საბჭოთა რეჟიმისაგან დევნილი სუფიური მიმდინარეობები. იქმნებოდა ახალი რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობდნენ ე. წ. ვაპაბიზმის პარალელურად მოქმდინათ ისლამის პოლიტიზაცია.

ამრიგად, ვაპაბისტები ბრძოლას ანარმოებდნენ ერთის მხრივ, ტრადიციონალისტებთან, მეორეს მხრივ, საერთ ხელისუფლებასთან. დაპირისპირებას განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ჩანჩეთსა და დაღესტანში ჰქონდა. ჩანჩეთში შარიათის სამართალწარმოების დაკანონების და ისლამური რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ დაღესტანში არსებული რადიკალ ვაპაბისტთა დაჯგუფებები დახმარებას იქიდანაც იღებდნენ. „დაღესტნისა და იჩქერიის ხალხთა მეჯლისის კონგრესმა“, რომელიც 1998 წლის დეკემბერში შეიკრიბა, მიიღო რეზოლუცია — „ურნმუნოთა წინააღმდეგ ჯიპადისაკენ მოწოდება“. ასევე, გადაწყდა უცხოური ლეგიონის შექმნა იჩქერიის ისლამური რესპუბლიკის დაცვის, ისლამის იდეების აყვავებისა და რუსეთის იმპერიასთან ბრძოლისათვის. 90-იანი წლების ბოლოს ვაპაბისტებას და ტრადიციული ისლამის მიმდევართა დაპირისპირებას ემსხვერპლა ცნობილ სასულიერო მოღვაწე ს. აბუბაქაროვი (დაღესტნის მუფტი), რომელსაც ეკუთნის ცნობილი

ფრაზა «Всякий мусульманин, убивший ваххабита, попадет в рай, как и мусульманин, погибший от рук ваххабитов» (აბდულაევი 2001: 211).

სალაფიტური (ვაპაბისტების) მიდგომის საწინააღმდეგოდ 1999 წ. თებერვალში შეიკრიბა „ჩრდილო კავკასიის მუსულმანთა საკორდინაციო ცენტრის სხდომა“, შეიქმნა „ჩრდილო კავკასიის მუსულმანთა საკორდინაციო ცენტრი“, რომელშიც შევიდნენ ჩრდილო კავკასიის მუსლიმური თემების რელიგიური ხელმძღვანელები. ამრიგად, რელიგიური რადიკალიზმის საფრთხემ გამოიწვია ჩრდილო კავკასიის მუსულმანთა გაერთიანება.

ჩეჩენთის მეორე ომის შემდეგ, მოსკოვის გავლენის ზრდისა და ისლამისტთა წინააღმდეგ განხორციელებული ენერგიული ღონისძიებების შემდეგად „ვაპაბისტების“ რიცხვი ჩრდილო კავკასიაში მნიშვნელოვნად შემცირდა. ექსპერტთა მონაცემებით, ისლამისტი რადიკალები დღემდე ინარჩუნებულ გარკვეულ პოზიციას ჩრდილო კავკასიის ყველა რესპუბლიკაში აღიღესა და ჩრდილო თეთის გარდა. განსაკუთრებით ძლიერია მათი გავლენა ჩეჩენთა და დალესტანი.

## დამოწმებული ლიტერატურა

აბდულაევი 2001 — Абдулаев И. Ислам и власть в Дагестане, Алм. Религия и Общество, М. 2001.

აკაევი 1999 — Акаев В. Религиозно-политический конфликт в Чеченской республике Ичкерия, Центральная Азия и Кавказ, 1999, №4 (5).

ვასილიევი 1982 — Васильев А. История саудовской Аравии (1745-1973), М. 1982.

იარლიკაპოვი — Ярлыков А. Радикализм и экстремизм в мусульманской среде на Северном Кавказе,

[http://www.niiss.ru/newdesign/s\\_docl\\_yarlikarov6.shtml](http://www.niiss.ru/newdesign/s_docl_yarlikarov6.shtml) – 27 Кб

კერიმოვი 1982 — Керимов М. Шариат и его социальная сущность, М. 1978

მელიქიშვილი 2002 — უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანისის კრიზისი), რედაქტორი ლ. მელიქიშვილი, თბ., 2002.

სიუკიიანენი 1986 — Сюкиянен Л. Мусульманское право, М. 1986

ფონ-გრიუნბერგი 1988 — Фон Грюнебаум Г. Классический ислам, М. 1988

ხანბაბაევი — Ханбабаев К. Радикализация ислама на Кавказе: внешние факторы <http://www.fondsk.ru/article.php?id=805>

ჯუკაშვილი 2000 — ჯუკაშვილი ი. რეისლამიზაცია და ეთნიკური ტრადიციები. — კავკასიის მაცხე, თბ. 2000.

Лаврентий Джаниашвили

## НЕКОТОРЫЕ ОСОБЕННОСТИ РЕИСЛАМИЗАЦИИ НА СЕВЕРНОМ КАВКАЗЕ (ВАХХАБИЗМ)

В весьма сложной ситуации, создавшейся на Северном Кавказе, значительную роль эксперты отводят развернувшимся после распада Советского Союза религиозным процессам. В период возрождения ислама (в конце прошлого столетия) на Северном Кавказе оживились суфистские братства (тарики). Чеченские войны, политическая и социально-экономическая нестабильность создали благоприятные условия для инфильтрации «чистого ислама», или так называемого ваххабитского направления ислама. Салафитская доктрина, на которую опираются северокавказские ваххабиты, отличается рационализмом и доступностью, довольно простой логикой. Обычно ваххабиты прямо декларируют положения Корана и Сунны. Именно простота салафизма на фоне элитарности суфизма обусловила его широкую популярность.

На Северном Кавказе ваххабизм характеризуется оппозиционностью по отношению к мусульманскому богословию и «народному исламу». Последователи салафизма отрицают «б�다», т. е. любое нововведение в исламе, не санкционированное Кораном и Сунной. Наиболее рьяно они борются с обычаями, которые, согласно кавказскому адуату, признаны неотъемлемой частью мусульманского быта (например, калым, культ святых, многолюдные свадьбы и похороны и т. д.). Большое внимание ваххабиты уделяют полному соответствуанию бытовых отношений требованиям мусульманской догматики. Интенсивно шла замена обычного и государственного права шариатом. Даже малейшее отклонение от норм шариата становится не только предметом строгого осуждения, но и основой для вынесения жесточайшего приговора. Первоначально распространению салафизма в значительной мере способствовал и Кремль. Вероятно, Москва полагала, что ваххабизм как сверхэтническая религия, выступающая против традиционных ценностей, способствовал бы разрушению этнической идентичности народов Северного Кавказа и ослаблению сепара-

тистских процессов в регионе. Вместе с тем, это была выгодная тема для спекуляции в странах Южного Кавказа (например, предположительное пребывание ваххабитов в Панкисском ущелье использовалось Россией с целью давления на Грузию).

Сверхнациональный характер салафизма на фоне активизации национальных проблем, игнорирование его приверженцами местной специфики ислама (суфизма) и традиционных нравов и обычаяев населения снижало популярность ваххабизма. В то же время, в 90-х годах прошлого столетия на Северном Кавказе активизировались и традиционные местные исламские институты. Из подполья вышли преследовавшиеся советским режимом суфийские течения. Создавались новые религиозные организации, стремившиеся, наряду с ваххабизмом, политизировать ислам.

После второй чеченской войны, в результате роста влияния Москвы и энергичных антиисламистских мероприятий численность ваххабитов на Северном Кавказе значительно сократилась. Однако, по данным экспертов, исламские радикалы по сей день сохраняют определенные позиции во всех республиках Северного Кавказа, кроме Адыгеи и Северной Осетии. Особенно велико их влияние в Чечне и Дагестане.

პასუხი ეთნოსთა შორის  
ურთიერთობის ფალსიფიკატორებს

როლანდ თოფჩიშვილი  
ისტორიას ჩეხეთის მართლმადიდებელი  
მიტროპოლიტიც გვიმაახინჯებს  
(მიტროპოლიტ ქრისტეფორეს ერთი ეპისტოლებს გამო)

საქართველოსა და ქართველი ხალხის ნინააღმდეგ რუსულ გამოცემებში, ელექტრონულ მედიასაშუალებებში ბოლო დროს უამრავი ცილისმნამებრუორი პუბლიკაცია გამოჩნდა. იბეჭდება შეურაცხმყოფელი ნერილები, რომლებმიც ქართველი ხალხი ლამის ბარბაროს ხალხადა გამოყვანილი. და ეს ყველაფერი დაკავშირებულია ე. ნ. ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტებთან, რომლებიც სინამდვილეში სხვა არაფერი იყო თუ არა ქართულ-რუსული ომი საქართველოს ძირძველი ტერიტორიებისათვის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქმის ყველა ეს პუბლიკაცია ერთ რომელიმაც ორგანოში, ანდა რომელიმე ერთი პიროვნების მიერაა დაწერილი. უფრო შეტიც, კარგა ხანია მიდინარების ისტორიის გაყალბება, მითოლოგების შექმნა, ისტორიის ქურდობა. დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ხალხს ისტორიას სტაცებენ, მის ისტორიულ ტერიტორიებს საკუთარ ტერიტორიებად აცხადებენ. ისტორიის გაყალბება და მითოლოგების შექმნა ახლა არ დაწყებულა, ის უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია მიზანმიმართულად ხდება, ბოლო დროს კი ამ მოვლენამ, რომლის საფუძველი უზნებობა და უცოდინობაა, არჩაულ მასშტაბებს მიაღწია. ასეთი გაყალბებული ისტორიის შემქნელები არიან არა მხოლოდ აფხაზები და ოსები, არამედ, რაც მთავარია, რუსები.

ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეექმნას ადამიანს, რომ რუსეთში ჭეშმარიტი ისტორია მართლაც არ იციან. პროფესიონალები, ბუნებრივია, კავკასიის ისტორიის სხვადასხვა პრობლემებში კარგად არიან გათვითცნობიერებულები, მაგრამ რუსეთში კვლავ დიდია იმპერიული აზროვნება და ისინიც ამ იმპერიულ აზროვნებას უფრო წინ აყნებენ, ვიდრე ჭეშმარიტებას. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთში მხოლოდ ერთადერთი მცირები აღმოჩნდა, რომელმაც ისტორიული სიმართლე თქვა. ესაა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სერგეი არუთინოვი. მას ეყო გამბდეაობა და ტელევიზიის ეკრანიდან ხმამაღლა განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ოსური ეთნოსის წარმომადგენლები ძალაში ვინან მოსული, რომ არავითარი

დაც და ახლაც იმპერიული ძალები „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკით მოქმედებდნენ. ამ მიზნით ისინი ხანდახან სასულიერო პირებსა და სასულიერო პრესასაც იყენებდნენ. ყველაფერი იმაზე იყო გათვლილი, რომ მორნმუნე ადამიანისათვის სასულიერო პირის ნათქვამი და ნაწერი უფრო დამაჯერებელი იყო. ნიშანდობლივია, რომ ქართველთა და ოსთა დაპირისპირების მცდელობა, ისტორიის ფალსიფიკაცია, მითების შექმნა პირველად ერთ საუკუნეზე ცოტა მეტი წესის წინ რუსულ სასულიერო პრესაში მოხდა. 1903 წლის „დუხოვნი ვესტნიკში“ (22) დაიბეჭდა დეკანოზი ი. ვოსტოკოვის წერილი, რომელშიც ის შეით თეთრზე წერდა ფაქტობრივად იმას, რასაც დღეს ჩეხეთის მიტროპოლიტი წერს: ქართლში ძველად ოსებს უცხოვრიათ. შემდეგ აქ ქართველები შემოჭრილან, რომელმაც ოსები შეუვიწროვებიათ, აქეთ-იქით მიუწვიათ, რად გაუყვიათ — ჩრდილოეთით ჯავის ხეობისაკენ და სამხრეთით — ბორჯომის ხეობაში. მართალია, დეკანოზის ნააზრებს გაზეომა „ივრია“ „მახინჯი აზრების კრებული“ უწოდა, სათანადო პასუხი გასცა, მაგრამ დროთა განმავლობაში ქართველთა ისტორიის მიტაცება მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა, რამაც აპოგეას ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში მიაღწია. სამწუხაროდ, იმპერიულ ავანტიურაში ჩეხეთის მართლადიდებელი მიტროპოლიტიც აღმოჩნდა ჩართული, რომელმაც ერთი საუკუნის შემდეგ რუსი დეკანოზის ნაყალბევი ახალი ნიუანსებით გაიმეორა.

რუსეთში ისტორიის გაყალბებისა და მითების შექმნის შესახებ საერთოდ და, კონკრეტულადაც ოსებისა და აფხაზების შესახებ, 2009 წლის 28 აგვისტოს ტელეკომპანია „არტივიაი“-ს გადაცემაში საუბრობდა ანდრეი ილარიონოვი (წამყვანი — ს. ბუტმანი). მან მკაცრად ამხილა ისტორიის ფალსიფიკატორები და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნარსულის შესახებ მითოლოგიური წარმოდგენების შექმნა პოლიტიკოსებისათვისაა საჭირო, რათა ის გამოიყენონ თავისებურ საინფორმაციო იარაღად. ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ საქართველოს წინააღმდეგ კალმით ბრძოლამ ნამდვილ იარაღზე არანაკლები როლი შესრულა. ამავე დროს საინფორმაციო იარაღით ბრძოლა ბევრად წინ უსწრებდა ნამდვილი იარაღით ბრძოლას. როგორც ერთ, ისე მეორე ბრძოლაში ჩვენ ქართველები რუსებთან ჯერჯერობით დავმარცდით.

## სტუდენტთა პირველი მეცნიერული ნაბიჯები

გიორგი ავთანდილაშვილი

### ხემშილები (ჰემშილები)

ხემშილები ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ძალზე საინტერესო და საკმაოდ მრავალრიცხვანი ეთნოკომფილესიური ჯგუფია. მათი ძირითადი ნაწილი ცხოვრობს თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ისტორიული ლაზეთის ტერიტორიაზე. ხემშილების გარემოული ნაწილი ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში — კრასნიდარის ოლეში და საქართველოში — აფხაზეთის ტერიტორიაზე (ტულუმჯიანი 2008). 2002 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერით, რუსეთის ფედერაციაში ხემშილების რაოდენობა 1542 შეადგენს. აფხაზეთში მათი რაოდენობა ზუსტად განსაზღვრული არ არის.

ბოლო მონაცემებით საქართველოში ხემშილები აღარ ცხოვრობენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს დოკუმეტებითსაც თავდაცეის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის 6279-ის დადგენილებისა და იმავე წლის 20 სექტემბრის სსრკ შეს 00117 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა საქართველოს საზღვრისპირარაინობიდან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და, მათ შორის, ხემშილების იძულებით გადასახლება შეა აზის რესპუბლიკებში. გადასახლებული ხემშილების რაოდენობა შეადგენდა 304 ოჯახს: ბათუმის რაიონიდან — 231 ოჯახი, ხულოს რაიონიდან — 28, ქედის რაიონიდან — 5, ქობულეთის რაიონიდან — 34).

თურქეთი მცხოვრები ხემშილები იყოფიან სამ ძირითად ჯგუფად: ბაზ-ხემშილები (დასავლეთ ჯგუფი), ხოფა-ხემშილები (აღმოსავლეთის ჯგუფი) და ჰამბენები (სამხრეთის ჯგუფი). ხემშილების ასეთი დაყოფა მოცემული აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე, ვისეკონსინის შტატის მილოუკის უნივერსიტეტის პროფესორს ბერტუ ბოკსუს. ბაზ-ხემშილები იგივე თურქი-ხემშილები ცხოვრობენ ქალაქ რიზესა და მის ადმინისტრაციულ რაიონებში: ჩამლიხემშინსა და ხემშინში. აქაური ხემშილები საუბრობენ თურქული ენის „ჰემშინჩე“ დიალექტზე და სომხური ენა არ იციან, აღმსარებლობით არიან ჰანიფიტური მასპაბის სუნიტი მუსულიმები. ისინი თავის თავს მიიჩნევნ თურქი ხალხის ეთნოგრაფიულ ჯგუფად. „Основная часть Хемшилов осознает себя особой этнографической группой турецкого народа и называет себя Турки-Хемшилы (Turk-Himshili)“ (ტულუმჯიანი 2008: 7). მეორე ჯგუფი ხოფა-ხემშილები ცხოვრობენ ართვინის ვილაიეთის ხოფის რაიონში, მათი

თვითსახელნოდებაა „ხომშენცი“, „ხომშენი“. ისინი სარწმუნოებით გაშემშეღების მსგავსად სუნიტები არიან, თუმცა სომხური ენის ხემშილურ დიალექტზე საუბრობენ. ხოფა-ხემშეღები, თავის მხრივ, კიდევ იყოფიან ორ ქვეჯგუფად: ტურცევანცებად და ტოპალ-ოლღებად. ტურცევანცების დიდი ქვეჯგუფი შედგება ჯერმაცებისგან (თეთრს ნიშნავს), ხოლო შედარებით მცირერიცხოვანი არიან არდღუცები. მესამე ჯგუფს ქმნიან ჰამშენები (სამხრეთის ჯგუფი) თავდაპირველად ისინი სამსუნის, ორდუს, გირესუნის და ტრაპიზონის რაიონებში ცხოვრობდნენ, თუმცა, მოგვიანებით, მათი ერთი ნანილი კრასნოდარის შხარეში გადასახლდა. ახლა მათი უმრავლესობა აქ ცხოვრობს. ჰამშენები სომხური ენის ხემშილურ დიალექტზე საუბრობენ და ქრისტიანები არიან, მათში ორ ქვეჯგუფს გამოყოფენ: ტრაპიზონელებს და ჯანიკ-ორდუიცებს.

ტერმინი ხემშინი თავდაპირველად მოხსენიებულია ძველ სომხურ წყაროში, კერძოდ, VIII საუკუნეში (ტულუმჯიანი 2008); მასში საუბარია, თავად ამატუნების მეთაურობით, სომხეთის ტერიტორიიდან 12 ათასი სომხის გადასახლებაზე შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნანილში, დღევანდელი ქალაქ ტრაპიზონის აღმოსავლეთით. ამავე წყაროს (გვეობდ ვარდაპეტის ხალიფების ისტორია) მიხედვით, VIII საუკუნის მეორე ნახევარში თავადმა ხამაძ ამატუნმა დანგრეული ქალაქ დამპურის ადგილას ააშენა ახალი ქალაქი, რომელსაც მის საპატივცემულოდ ეწოდა ხამაძ-შენი იგივე ხამშენი.

ამავე ტოპონიმს — „ჰამშინის“ — ფორმით მოგვიანებით თურქულ წყაროში ვხვდებით, კერძოდ, XVI საუკუნის დასაწყისის ტრაპიზონის ვილაიეთის აღნერისას მოხსენიებულია ყაზა ჰემშინი, რომელიც შედგებოდა სამი ნაპიესაგან: ჰემშინი, ყარა ჰემშინი და ექსანის. საერთო ჯამში იყი შეადგენდა 34 სოფელს 671 კომლით, მათგან 214 ოჯახი იყო მუსულმანი ხოლო 457 ქრისტიანი (ბაზაში 1988). ეს საბუთი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა, თუმცა აქ „ჰემშინი“ მხოლოდ ტოპონიმად არის მოხსენიებული და არსად გვხვდება მინიშნება, რომ იყი ამავდროულად ეთნონიმიც იყო. იგივე შეიძლება ითქვას სომხურ წყაროზეც: ხამაძ-შენი (ხამშენი) ქალაქის სახელია და არა თურქეთში მცხოვრები სომხების აღმიშვნელი ტერმინი, შესაბამისად, ამ ქალაქში და მის ნაპიეში მცხოვრები მოსახლეობა, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, მოიხსენიებოდა როგორც ხამშენელი-ხამშენი. მსგავსი პრეცენდენტები მრავლად გვხვდება ისტორიაში. ხემშილები როგორც ეთნოგრაფიული ჯგუფი მოხსენიებული არიან XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან, როდესაც აქ იმოგზაურეს სხვადასხვა ევროპელმა, რუსმა თუ ქართველმა მოგზაურებმა (კოხი, სპენსერი, კუნე, ჰალგრევი, მარი, ყაზბეგი, მასალსკი და სხვ.).

სომხების შავიზღვისპირეთში, ლაზეთის მთებში, გამოჩენისათვალი სომხები მდინარე ფორტუნის ხეობის ზემო წელში დასახლებულან, იქ, სადაც დღეს ჰემშინი და ჩამლი-ჰემშინი მდებარეობს. ხემშილების მიგრაცია სხვადასხვა მიმართულებით მხოლოდ მოგვიანებით, XVII—XVIII საუკუნეებში დაიწყო, რასაც თავისი ახსნა და მიზეზები ჰქონდა. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც ჯერ კიდევ ქრისტიანი სომხები ჰემშინიდან თურქეთის სხვა მხარეებში გასახლდებოდნენ ის იყო, რომ ოსმალეთის იმპერია ძალატანის ცდილობდა მაჰმადიანობის გავრცელებას ლაზეთის ტერიტორიაზე, რადგან აქ მოსახლეობის დიდი ნანილი ჯერ კიდევ ქრისტიანობას ინარჩუნებდა. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. სწორედ ამ ფაქტს მოჰყვა სომხების პირველი მნიშვნელოვანი გადასახლება ჰემშინიდან დასავლეთის მიმართულებით: ტრაპიზონში, გირესუნში, ორდუში, სამსუნსა და სხვა დიდ ქალაქებში, სადაც ხემშილები კომპაქტურად სახლდებოდნენ და ცალკე უბნებს ქმნიდნენ. აქ ხემშილები, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ცალკე ეთნოგრაფიულ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ, რაშიც ქრისტიანობის შენარჩუნებამაც შეუწყოთ ხელი. XIX საუკუნის დასაწყისში შავი ზღვის გარშემო იმოგზაურა მინა მედიჩმა, რომელიც აღნიშნავს რომ მოსახლეობის ერთი ნანილი გადასახლდებულა ხურმუნლსა და სურმენები. ხურმუნლში მცხოვრებ ხემშილებს ქრისტიანობა შეუნარჩუნებიათ (მელიქსედეკოვი 1950). 1915 წელს მომხდარი სომხურ-თურქული კონფლიქტის შემდეგ ჰამშენები (სამხრეთის ჯგუფი) თითქმის მთლიანად რუსეთში გადასახლდნენ — კრასნოდარის მხარეში და აფხაზეთში — ოჩამჩირედან დასავლეთით (შილაკაძე 1983).

ხემშილების კიდევ ერთი მიგრაციული ტალღა XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო; ხემშინიდან ნამოსულმა მოსახლეობის ერთმა ნანილმა ჩრდილო-აღმოსავლეთით ართვინის ვილაიეთში, მდინარე ხოფის შესართავთან პატარა ხემშინის დასახლება დაარსა, რომელიც 5 სოფლისგან შედგებოდა. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით აქ მოსული ხემშილები პირველად სოფელ ზურპიჯში დასახლდნენ 200 ნლის ნინ. (ტულუმჯიანი 2008). ხოფელი ხემშილები საუბრობენ სომხური ენის ხემშილურ დიალექტზე, ისინი საუთარ თავს უწოდებენ „ხომშენცი“-ს. როგორც უკვე აღინიშნა ხოფელი ხემშილები იყოფიან რამოდენიმე ქვეჯგუფად. თითოეულ ჯგუფს ახსოვს ჰემშინის რომელი სოფლიდან არიან მოსულები. თავდაპირველად ისინი მხოლოდ მდინარე ხოფის ხეობაში მთებში ცხოვრობდნენ, თუმცა 30—40 ნლის ნინ დაიწყეს ბარში, ზღვის სანაპიროზე ჩამოსახლება. ბოლო, არაოფიციალური მონაცემებით დღეს მათი რაოდენობა ქალაქ ხოფაში 20 000-ია, მთლიანად ხოფის რაონში კი — 35 ათასი კაცი, ეს მაშინ როდესაც 1850-იანი წლე-

ბისთვის მხოლოდ 150 ოჯახი (900 ადამიანი) იყო აღრიცხული (ყაზბეგი 1876).

დღევანდელი მონაცემებით, ხემშილების ზუსტი რაოდენობა დადგენილად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან სხვადასხვა წყარო განხვავდებულ ინფორმაციას იძლევა, გარდა ამისა ხემშილების გარკვეული ნანილი სომხებთან ყოველგვარ კავშირს უარყოფს. ტრაპიზონში რუსეთის გენერალური კონსულის 2002 წლის ანგარიშში დასახელებულია 45 ათასი ხემშინი, თუმცა, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ ტრაპიზონის ვილაიეთს ეხება. სხვა, სავარაუდო მონაცემებით თურქეთში 150 ათასია მითითებული (ტურქუმჯანი 2008). ისტორიულ წყაროებს და მოყვანილ მონაცემებს თუ თვალს გადავლებთ, აღმოჩნდება, რომ ეს ციფრები ხელოვნურად არის გაზრდილი. როგორც ზემოთ ვნახეთ, XVI საუკუნის დასაწყისში ყაზაკებშინის ტერიტორიაზე 34 სოფელი არსებობდა, სადაც 671 ოჯახი ცხოვრობდა, რაც დაახლოებით 5000 ადამიანს უდრის. გორგი ყაზბეგს მოყვანილი აქვს 1850-იანი წლების ოსმალეთის იმპერიის ოფიციალური მონაცემები (ყაზბეგი 1876: 86), რომლის მიხევითაც, ბაშ-ხემშილების რაოდენობა შეადგენდა 10 620 ადამიანს, ხოლო ხოფა-ხემშილებისა — 900-ს. მართალია, აქ არის მოცემული ტრაპიზონში და სხვა ქალაქებში მცხოვრები ხემშილების მონაცემები, მაგრამ მათი რიცხვი სავარაუდოდ 4—5 ათასს არ აღმატებოდა, რადგან ყველა მოგზაური აღნიშვავს, რომ ხემშილების მთავარი ჯვაფი ცხოვრობდა ბაშ-ხემშინში. ფაქტიურად იგვე მონაცემები აქვს მოცემული კარლ კოხს (კოხი, სპენსერი 1981). მან 1843—1844 წლებში მოინახულა ჰემშილის „ქვეყნაც“. გერმანული მოგზაურის თანახმად, ამ დროს მთლიანად ჰემშინში იყო 1500 სახლი და დაახლოებით 8 ათასი ადამიანი. როგორც ვხედავთ, მეცხრამეტე საუკუნის შუა რიცხვებში ზოგადად ხემშილების რაოდენობა 15 ათასს არ აღმატებოდა. ასე რომ, შეუძლებელია 150 წლის განმავლობაში მათი რიცხვი ათვერ გაზრდილიყო. სავარაუდოდ, დღეს ხემშილების რიცხვი 50—60 ათასს არ უნდა აღემატებოდეს.

XX საუკუნისა და საწყისში ნიკო მარი აღნიშნავდა, რომ „ხემში-ნები ეთნიკურად არიან სომხები, რელიგიით — მუსულმი სუნიტები. 6. მარი იმასაც აღნიშნავდა, რომ ხემშილები ენობრივად სამ-ნერლობი ლიტერატურული ოსმალურით სარგებლობები, საღვთის-მეტყველო მევდარი არაბულით, სამეტყველო მომაკვდავი მშობ-ლიური სომხურით, ხოლო სალაპარაკო თურქულით. იგივე ავტორი იმასაც უსვამს ხაზს, რომ კულტურული ორიენტაციით ხემშილები თურქები არიან (მარი 1920: 58). მას შემდეგ, რაც სომხები მდინა-რე ფორტუნის ხეობაში დასახლდნენ, მათ ადგილზე დახვდათ ად-გილობრივი ლაზი მოსახლეობა, რომელთანაც რასაკვირველია ჰქონდათ კულტურული ურთიერთობა. ხოლო ხემშინი გადაიქცა

очаг в поисках заработка и наоборот в Хемшине селились приезжие из других мест Турции" (Фүллүмжюлбо 2008: 10).

კიდევ ერთხელ უნდა დაუუბრუნდეთ ტერმინს „ხემძილი“. ზე-  
მოთ უკვე ავლნიშნეთ, რომ იგი თავდაპირველად გეოგრაფიული  
სახელი, ტოპონიმი იყო. დღეს ხემძილებად მხოლოდ მუსულიმი  
სომხების მოხსენიება რაღურ ვითარებას არ ასახავს. იმის გამო,  
რომ ოურქი-ხემძილები სომხური ენის ხემძილურ დიალექტზე არ  
საუბრობენ, უარყოფენ ყოველგვარ კავშირს სომხებთან, მათ  
თვითშეგნება არა აქვთ სომხური ამდენად, ისინი არ შეიძლება ჩა-  
ითვალონ სომები ხალხის ეთნოგრაფიულ ჯგუფად, როგორც ამას  
სომები ავტორი ამტკიცებს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია  
არა წარმომავლობა, არამედ ეთნიკური კუთხიობის განმსაზ-  
ღვრელი ძირითადი ფაქტორები: ენა, ისტორიული მახსოვრობა და,  
რაც მთავარია, თვითშეგნება, რომელიც ჰქონინის მოსახლეობას  
აშკარად თურქული აქვს. საინტერესოა, რომ ტრაპიზონსა და იზ-  
მირში ცხელვრები ლაზები აქაურ ხემძილებს „სომებეფეს“ უწო-  
დებას. როგორც ჩანს, ლაზებმა კარგად იციან ამ ჯგუფის ეთნიკური  
კუთხიობის, მათი სომხური ფესვები და მათ განასხვავებენ ჰემ-  
შინსა და რიზეში მცხოვრები ხემძილებისგან.

როგორც ზემოთ ავლინიშნეთ, ხემშილების პატარა ჯგუფი აჭა-  
რაშიც ცხოვრობდა; ისინი 1944 წელს შუა აზიაში გადაასახლეს. გა-  
დასახლებული ხემშილების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში  
თითქმის არაფერია ნათქვამი, თუმცა 2010 წლის იანვრის დასაწ-  
ყისძიების მანიფესტის მიხედვით, მათ შორის გამოიყენება მანიკუ მო-  
ყვაველი სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ეთნოლოგიის მიმართულების სტუდენტური ექ-  
სპეციალის დროს სარტყეში.

საარქივო დოკუმენტებიდან ცნობილი გახდა, რომ აჭარიდან გაასახლეს ხემშილთა სულ 300 ოჯახი. სამწუხაროდ, სხვადასხვა დროს ჩატარებულ მოსახლეობის აღნერის დავთრებში მითითებული არ არიან ხემშილები და ამიტომ დაზუსტებით არ გვაქვს ცნობები რომელ სოფელში რამდენი ხემშილი ცხოვრობდა. როგორც საველე-ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, აჭარაში ხემშილები ძირითადად ცხოვრობდნენ: სარფში, ჭარნალში, გონიოში, თხილნარში, ახალსოფელსა და ბათუმში მართალია 1926 წლის აღნერაში ხემშილები მოხსენიებული არ არიან, მაგრამ დასახელებულ სოფლები „დანარჩენის“ გრაფში უდავოდ ხემშილები იგულისხმებიან. სოფელ ჭარნალის 314 მცხოვრებიდან 53 ქართველია, 59 — ქურთი, ხოლო 202 მოსახლე მოხსენიებულია როგორც „დანანჩენი“. სავარაუდოა რომ ამ „დანარჩენში“ ხემშილები იგულისხმებიან, რადგან ამ დროისათვის სარფში, გონიოში და მის მიმდებარე სოფლებში (ცხოვრობდნენ ქართველები (აჭარლები, ლაზები),

ქურთები და ხემშილები. ლაზების შესახებ ვიცით, რომ ისინი მხოლოდ სარფში ცხოვრობდნენ. ვინაიდან ქურთები და აჭარლებიც ასევე ცალკე არიან მოხსენიებულნი, გამოდის, რომ „დანარჩენში“ იღულისხმებიან ხემშილები (რატომ იყვნენ 1926 წლის საკავშირო აღნერაში ხემშილები „დანარჩენში“ შეტანილი? ვვარაუდობთ, რომ აღნერისათვის შედგენილ ხალხთა საკავშირო ნომენკლატურაში, ჩამონათვალში ეს ეთნიკური ერთობა გათვალისწინებული არ იყო. აღმნერებმა კი ვერც თურქებს მიაკუთხეს და ვერც — სომხებს, რადგან ისინი თავს (ცალკე ხალხად გაიაზრებდა. ამიტომაც ხემშილები „დანარჩენთა“ შორის მოხვდნენ). აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ ჭარნალში, გონიოში, თხირნალში, მახოსა და სარფში ხემშილების საერთო რაოდენობა 1926 წლისთვის 900 კაცამდე იყო (დაახლოებით 150 ოჯახი). როგორც ირკვევა, ხემშილები დაახლოებით 100—120 წლის ნინ არიან მოსულები ხოფის მხრიდან, რაც ეჭვს არ ინვევს, რადგან, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, თავად ხოფაშიც 150—200 წლის ნინ მოვიდნენ. ხემშილების ძირითადი საქმიანობა აჭარაში იყო მეცხვარეობა. ისინი დიდი რაოდენობით ცხვარს ინახავდნენ, რომლებსაც ხან დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის მახლობლად — ვარციხეში გამოაზაფხულებდნენ, ხან არდაგანში და ხან აჭარის მთაში. ის ფაქტი, რომ ზაფხულობით აჭარის მთებში დაპყავდათ ცხვარი, ეჭვს არ ინვევს, რადგან იგივე ინფორმაცია 2007 წელს მთიან აჭარაშიც — ხიხაძირში დავაფიქსირეთ. ამ მასალით (მთხრობელი ხამზა ჯაიანი, 81 წლის) ხემშილები, რომლებიც აჭარის მთაში დადიოდნენ, თურქეულ ენაზე საუბრობდნენ, ხოლო ქურთები, რომლებიც ასევე სარგებლობდნენ ამ საძოვრებით — არა. ხემშილებს და ქურთებს ერთმანეთში საქორნი ურთიერთობაც ჰქინიათ, მაგრამ არა სარფში მცხოვრებ ქართველებთან, ლაზებთან და აჭარლებთან. სარფში სტუმრად მყოფი მაკრიალელი (ხოლედში) მთხრობელის მონოდებული ინფორმაციით, 30—40 წლის ნინ ხემშილები მხოლოდ მთებში ცხოვრობდნენ და სანაპიროზე ლაზების შიშით ვერ ჩამოდიოდნენ. ისინი ხშირად გარე სამუშაოებზე დადიოდნენ, ლაზები მათ შეშის დასაჭრელად და მანდარინის დასაკრეფად ქირაობდნენ. ხემშილები სარფში და სხვა სოფლებში ცალკე უბნები ცხოვრობდნენ. სარფში მათ დასახლებას ერევა ხემშილული. ხემშილებსა და ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას შორის ხელოვნური დანათესავების დაქორწინების ფაქტები არ დასტურდება. საზოგადოებრივი თვალსაზრისით, ხემშილები თავის თავს ქურთებზე მაღლა აყენებდნენ. სარფში მცხოვრები ხემშილების ერთი ნაწილისთვის საცხოვრებელი მინები ბათალოლოებს მიუკიათ.

ერთსაუკუნოვანი თანაცხოვრების განმავლობაში სარფასა და  
მის მეზობელ სოფლებში მცხოვრებ ხემშილებსა და ადგილობრივ

ქართულ მოსახლეობას შორის მშვიდობიანი ურთიერთობა არსებობდა, თუ ერთი მთხობელის სიტყვებს არ მივიღებთ მხედველობაში: „ხემილები ცოტა თუ გამაგრდებოდნენ, მაშინვე ჯლიკინს დაგვიწყებდნენ ხოლმე“.

### დამოწმებული ლიტერატურა

**ბანაში 1988** — ბანაში ნ. ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში. თბ., 1988.

**კოხი, საქენსერი 1981** — კოხი კ, საქენსერი ო. კ. კოხისა და ო. საქენსერის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ო. მამაცამვილმა, თბ., 1981.

**მარი 1910** — Mapp H. Изъ поездки въ турецкий лазистанъ. 1910.

**მარი 1920** — Mapp H. Труды комиссии по изучению племенного состава населения россии З. — Племенной составъ населения кавказа. петр. 1920.

**მელიკსედ-ბეკოვი 1950** — Меликсет-Беков Л. Советская этнография 2 — PONTICA TRANSCAUCASICA ETNICA — по данным миная медици от 1815-1819.

**ჰალგრევი 1882** — Палгрев Дж. Материалы для описания азиатской Турции и Батумской области. Приложения к VII тому ИКО-ИРГО, тиф. 1882.

**საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფა, თბ. 1930.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო.**

<http://archive.security.gov.ge/meskhebi.html>

**ტულუმჯიანი 2008** — Тулумджян Ар. Хопа-хемшилы и башхемшилы: Материалы экспедиции, <http://www.hamshen.su/publ/9-1-0-14>. 2008.

**ყაზბეგი 1995** — ყაზბეგი გ. სამი თვე თურქეთის საქართველოში. თბ., 1995.

**ყაზბეგი 1876** — Казбеки Г. Военно-статистические и стратегические оценки лазистанского санджака. тиф. 1876.

**შილაკაძე 1983** — შილაკაძე ივ. სომხურ-ქართული ენობრივი შეხვედრები (ლაზურ- პამენური ლექსიკური შეხვედრები). — აღმოსავლური ფილოლოგია, V, თბ., 1983.

Georgий Автандилашвили

### Хемшилы (хемшины)

Хемшилы — это армяне-мусульмане, проживающие в основном в Турции, на территории исторической Лазети. Достоверная научная информация о хемшилах, из которой известно, что они живут в верховье реки Фортуна, появляется с первой половины XVI века. В этот период их численность составляла не более 4-5 тысяч человек. К XIX веку сведений о хемшилах прибавилось. Начиная с XVII века, стараясь избежать насилия и омусульманивания, одна часть хемшилов переселилась в Трапезунд и близлежащие деревни. Другая часть хемшилов, оставшаяся в Фортунском ущелье, в начале XIX века мигрировала в Хопский район. В конечном счете, сформировались три различные группы хемшилов: 1) хона-хемшилы, говорящие на довольно отличном от армянского литературного языка диалекте и исповедывающие ислам; 2) баш-хемшилы — тоже мусульмане, но говорящие на турецком языке, и 3) хамшены-христиане, говорящие на армянском. Несмотря на то, что армянские авторы под этнонимом «хемшилы» подразумевают три разные группы хемшилов и называют всех их армянами-мусульманами, они явно отличаются друг от друга. На территорию Грузии, в Аджарию, хемшилы пришли 100-120 лет назад. Здесь они в основном были расселены в деревнях Сарпи, Чарнали, Гонио, Тхиличара, Ахалсопели и в городе Батуми. Хемшилы занимались кочевым овцеводством. В 1944 году советская власть переселила хемшилов из Аджарии в Среднюю Азию. Позднее значительная их часть переселилась в Абхазию и Краснодарском крае. Хемшилы в Лазети 30-40 лет назад жили только в горной полосе, поскольку, опасаясь лазов, они не спускались на побережье. Хемшилы часто отправлялись на заработки за пределы своего местожительства. В деревнях, как правило, они жили отдельно от других жителей, у них были свои районы, в частности, в Сарпи их поселок назывался Хемшилуги.

სარჩევი

რედაქტორისაგან .....	3
<b>სამეცნიერო სტატიები</b>	
<b>ბახია-ოქრუაშვილი ს. სოციალური ურთიერთობის საკითხები ისებში.....</b>	<b>7</b>
გოცირიძე გ. ერთ საბუთი ჩედილო კავკასიაში მცხოვრები ქართველების შესახებ.....	26
გუჯეჯიანი რ. საქრალური დროშები ქართულ ტრადიციაში („ლემი“).....	31
თორია მ. ქართულ-ოსური თანაცხოვრების პერსპექტივები აღტერნატიული სამშვიდობო ინიციატივების კონტექსტში ....	44
<b>თოშიშვილი Р. Этническая обстановка на историческом и современном Кавказе .....</b>	<b>56</b>
კვაშილავა ი. ოსთა მითოლოგიურ-რელიგიური ნარმოდგენების შესახებ .....	70
კვიციანი ჯ. საქართველოში ოსთა სოციოკულტურული ადაპტაციისა და ინტეგრაციის პრობლემები .....	81
ლორია მ. თანამედროვე რელიგიური პროცესები აჭარის ალპური დასახლების ზონაში: გოდერძის უდელტეხილი – ბეშუმი (ეთნოლოგიური მონიტორინგის შედეგები) .....	97
მგელაძე ნ. მათემატიკური მოდელირების მეთოდოლოგიური პრობლემები ეთნოლოგიასა და სოციოკულტურულ ანთროპოლოგიაში .....	105
ტყავაშვილი მ. მთიულეთის 1804 წლის აჯანყების როკის უბანი და ციციანოვის დამსჯელი ექსპედიცია დიდი ლიახვის ხეობაში.....	125
ლუტიძე ი. მუჰაჯირ ქართველთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის საკითხები .....	145
ჯალაბაძე ნ. ქართულ-ოსური ურთიერთობების ეთნოფსიქოლოგიური ასპექტები .....	165
ჯანიაშვილი ლ. რეისლამიზაციის ზოგიერთი თავისებურება ჩრდილო კავკასიაში (ვაჰაბიზმი) .....	187
<b>პასუხი ეთნოსთა შორის ურთიერთობის ფალსიფიკატორებს</b>	
თოფჩიშვილი რ. ისტორიას ჩეხეთის მართლადიდებელი მიტროპოლიტიც გვიმახინჯვებს .....	197

## პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

ავთანდილაშვილი გ. ხემშილები (ჰემშილები).....	211
მარტყოფლისმცვილი თ. თანამედროვე რელიგიური ვითარება და ტენდენციები ჯავახეთში.....	220
მეურმმამცვილი გ. მონადირე ლაზურ ყოფაში .....	228
ჭეიშვილი გ. ეთნოგრაფიული სარფი.....	234

რეცენზიონი

თოფჩინშვილი რ. კლარჯეთის ეთნოგრაფიული შესწავლის პირველი სერიოზული ნაბიჯი (რეცენზია როინ მალაყმაძის ნიგნზე „ლიგანის ხეობა“) .....	239
გუჯეჯიანი რ. რეცენზია ე. ბერიძის მონოგრაფიაზე „ნიგალი: ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ლინგვისტურ-ტოპონიმიკური ასპექტები“, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2009. ....	245

## საარქივო ეთნოგრაფიული მასალები

၆. ဗာရာစွဲ၊ တွေ့ဆုံးတွေ့ဆုံး၊ အောင်အောင် နှင့် ပြည့်လိုက်နိုင်သူများ  
၂၀၁၀ ခုနှစ် မှ ၂၀၁၅ ခုနှစ် ထိုးများ မှာ ပေါ်လိုက်ပါသည်။